საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 27 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 244 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 244

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გამოუთქმელი მწუხარებით გულჩაწყვეტილი მეუღლე პეტრე იოსებისძე შვილები: ვალიჩკა და ლენოჩკა ზუბაძისა, ძმა ვლადიმირი, დები: ნინა და ალექსანდრა ფანცულაია ვ უწყებთ ნათესავთ—ნაცნობთ

ვარვარა (ბაბილინე) როსტომის ასული ზუბაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათ. ერისთავის ქუჩა №3 დასაფლავება ოთხშაბათს კუკიის სასაფლაოზე 10 საათზე წესის აგება ალ. ნეველის ეკლესიაში. (3442—2—2)

ექიმი ანტონ ქორქელიძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ რუსეთში ტრაგიკულად და უდროოთ გარდაიცვალა მისი ნათლული ახალგაზრდა—

მიხაკო გიორგისძე გორდელაძე

(3443—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი—დედა ტერეზია უჯმაჯურიძის ასული, მამა ნესტორ სამსონის ძე ტრაპაიძე, ძმები: პალლადი, ლეონიდე, გერმოგენ და სოსო ნესტორის ძენი ტრაპაიძეები, ბიძა—ზებედე სამსონის ძე ტრაპაიძე და ბიცოლა მარიამ ბარნაბას ასული ტრაპაიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ბადუ ნესტორის ასულის ტრაპაიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქუთაის ქალაქის საავადმყოფოში ოქტომბრის 7-ს ნაშუადღევს 3 საათზე. (3455—1—1)

ვგლოვობთ ტრაგიკულად დაკარგულს თიანეთის სამაზრო ერობის ხმოსანს, გვარდიის რწმუნებულს, სოციალ დემოკრატიულ სამაზრო კომიტეტის წევრს, ახმეტის კოლექტივის თავმჯდომარეს, ახმეტის თემის ხმოსან

ნიკა ფაქიზაშვილს

პაპავა, ბრეგვაძე, აფციაური, ჯორბენაძე. (3458—1—1)

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.
27 ოქტომბერს

აბესალომ და ეთერი

28. ოქტ. მეფის საცოლე. 27 ოქტ. ევგენი ონეგინი. 30 ოქტ. ოპერა მუშებისათვის—ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა. დასაწყისი სრულ 8 საათ. ს. დ. ოპერის დირიჟორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

თფილისის მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში გამოცდილ პირთ გამგეობის მდივნის ბუხჰალტრის და ბუხჰალტრის თანაშემწის თანამდებობებზე. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა პირობების შესახებ მიმართონ გამგეობას. (რუსთავ. პრ. № 6). (3456—2—1)

ჩვენ და სომხეთი

სომხეთს გაჭირვების დღეები ადგია. ჩვენი მეზობლები გარშემორტყმულია ორი მხრით, ადერბეიჯანიდან რუსეთის ჯარებით. სამხრეთიდან ქემალის. ასეთ პირობებში, ცხადია, სომხეთის მეთაურნი მეთაურნი ბუნებრივათ უნდა ეძებდენ მეგობარს, დამხმარეს, თანამგრძნობს. და აი ჩვენ ვხედავთ თფილისში იმართება სომხეთის სასარგებლო დემონსტრაცია, მზადდება თანაგრძნობის ატმოსფერო, დაახლოვების სურვილი, ურთიერთისთვის დახმარების ხელის გაწოდება. ამ მხრივ იდგმება ზოგიერთი რეალური ნაბიჯი; საქართველოს დემოკრატია მზათაა გაიღოს იმდენი მსხვერპლი, რამდენიც შეუძლია.

მართალია მან ვერ მისცა სომხეთს ნავთი, რადგან იგი თვითონ არ მოეპოვებოდა, მაგრამ მისცა ის, რითაც თვითონ სარგებლობს: ქვანახშირი; მიუხედავათ მისი ნაკლებობისა ჩვენი შინაური ბაზრისთვის, მეტი ნაწილი დაეთმო სომხეთის რკინის გზებს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოდის თფილისში დელეგაცია სომხეთის მთავრობის. არ ვიცით რა დანიშნულება აქვს ამ დელეგაციას, მაგრამ ვიცით, რომ მათი ჩამოსვლის დღიდანვე სომხური ხელმძღვანელი პრესა, „არაჩის“ მეთაურობით აწრიალდა და თავისი შხამიანი კბილი საქართველოს მოუქნია.

ვინ არის სომხეთის მტერი? ვინ სარგებლობს სომხეთის გასაჭირით? ეს არის თურმე საქართველო.

ასე აცნობენ თავის ხალხს მეზობლების თანაგრძნობას სომხის დაშნაკური პუბლიცისტები: („არაჩი“ 216) და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ახალი გამოსვლა, ეს ახალი მოღალატური ნაბიჯი დაშნაკური გაზეთისა არის მორიგი პროვოკაცია, რომლის უკან იმალება: საქართველოზე გადადება მორიგი ღალატისა სომხის ხალხისადმი. ასეთ გესლიან გამოსვლებს წარსულში ყოველთვის მოყოლია სომხის ხალხის ახალი უბედურების წინაშე დაყენება და ამ უბედურების საქართველოსთვის გადაბრალება.

და ჩვენ ვიმეორებთ: საქართველო სრულის თანაგრძნობით ეკიდება სომხეთს, იგი დიდი ხანია მიისწრაფოდა და დღესაც მიისწრაფის მორიგების დამყარების ამ ორ მეზობელ ერთა შორის.

ჩვენ მოვახერხეთ კიდეც ამ ბოლო დროს შეთანხმება სომხის დელეგაციასთან თუნდ დროებით ბორჩალოს ნეიტრალურ ზონის მოსპობის საკითხში, მაგრამ ეს შეთანხმებაც კი არ იქნა დადასტურებული სომხეთის მთავრობის მიერ. დღეს გვეგონა, რომ გაჭირვება გამოაფხიზლებდა სომხის ხელმძღვანელ წრეებს და ისინი დაიწყებდენ შეთანხმებაზე ლაპარაკს, უკვე მიღებულ და შემუშავებულ დებულებებს ხელს მოაწერდენ და ახალის შემუშავებას დაიწყებდენ.

ამას მოითხოვდა მეგობრობის სურვილის რეალიზაცია. ამით განმტკიცდებოდა ის მეგობრული სულიერი განწყობილება, რომელიც სომხეთის გასაჭირზე შეიქმნა საქართველოში.

და აი როცა ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგს, როცა ჩვენ ვხედავთ, რომ დაშნაკელების პარტია ამ გრძნობის ჩაკვლისთვის ზრუნავს, რა უნდა ვიფიქროთ იმის მეტი, რომ ამ ბოროტ ხელმძღვანელთ უნდათ ერთხელ კიდევ ითამაშონ ის შავბნელი როლი სომხის ხალხის ცხოვრებაში, რომელიც მათთვის ჩვეულია.

საქართველოს დემოკრატია ამას კარგათ ხედავს. დროა სომხის დემოკრატიამაც ეს დაინახოს.

ჩვენ ვიცით, რომ სომხის დემონსტრაციას თფილისში, თვით სომხების მიერ არ მოყვა ისეთი ნაბიჯები, როგორც საჭირო იყო: სომხეთისათვის საკმაო რიცხვი მებრძოლების მიწოდება. ესეც ხომ ამავე დაშნაკური პოლიტიკის შედეგი არ არის?

საქართველოს წინააღმდეგ საზიზღარი ცილისწამების გავრცელებას განა არ სჯობდა სომხეთის რეალურ დახმარებაზე ეზრუნათ ამ ვაჟბატონებს?

დიახაც რომ სჯობდა, მაგრამ როგორც ამბობენ: „ავსა კაცსა ავი საქმე ურჩევნია სულსა გულსა“.

დროა დაშნაკელებმა დაანებონ თავი ამ თქმულების გამართლებას. დროა, ღვარძლის თესვაზე ხელი აიღონ. მაგრამ შეისმენენ კი?

ჰაი, ჰაი, რომ არა. მხოლოდ სომხის დემოკრატიის გამოფხიზლებას შეუძლია მათი გესლიანი კბილის ამოგდება.

პ რ ე ს ა

„ადერბეიჯანი საქართველოს მტერია, თუ არა?“ ასეთი კითხვა დავუყენეთ ჩვენ ამ დღეებში „წითელი“ ადერბეიჯანის მესვეურთ. დღეს ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან ქართული და რუსული „კომუნისტი“. პასუხი ჩვეულებრივად მიკიბულ-მოკიბულია, მაგრამ მისი არსება სრულიად ნათელია:

„რაღა თქმა უნდა, ადერბეიჯანის მშრომელი ხალხი მტერი არ არის საქართველოს მშრომელებისა. და მტრული განწყობილების მაჩვენებლად არას შემთხვევაში არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ბაქომ აქამდის არ მისცა საქართველოს ნავთი, მაზუთი, ბენზინი და სხ.“

რომ ადერბეიჯანის მშრომელი ხალხი არ არის მტერი საქართველოს მშრომელი ხალხის, ეს ჩვენთვის ისეც ცხადი იყო, მაგრამ „კომუნისტმა“ კარგათ იცის, რომ ჩვენი საკითხი სულ სხვა იყო: **ადერბეიჯანის მშრომელთა დიქტატორებს მტრობა სურთ საქართველოს მშრომელთა მთავრობასთან, თუ მოყვრობა?** ამ საკითხის მოვლით ბაქოელმა დიქტატორებმა დაადასტურეს ჩვენი შიში, რომ მათ საქართველოსთან **მტრობა** სურთ.

ხელშეკრულობით შეპირებულს ნავთს „წითელი“ ადერბეიჯანი არ იძლევა. რატომ? რა მიზეზით, თუ არ მტრობით? ვეკითხებით ჩვენ. ამ კითხვაზე ორივე „კომუნისტი“ ასეთს პასუხს იძლევა:

„ბაქოს პროლეტარიატი ნავთის არ გაშვებით ბლოკადას უცხადებდა ანტანტას და ვრანგელს და არა საქართველოს. ანტანტას სამხედრო გემები, რომლებიც აქამდის ბათუმის გარე სადგურზე იყვენ, დღეს ბათუმის ნავსადგურში შემოსულან. ბათუმში თავდება ბაქოს ნავთის სადენი მილი. ამიტომაც ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე საჭიროა საქმე და მხოლოდ საქმე, საჭიროა ზომების მიღება, რათა ბაქოდან გადმოქაჩული ნავთი სხვადასხვა მომიზეზებით, ფარულად თუ აშკარად არ ჩაიგდოს ხელში ანტანტამ ბარონ ვრანგელის განწირული მიმქრალი ფრონტის გამოსაცოცხლებლათ.

მაშინ და მხოლოდ მაშინ ჩვენ მივიღებთ ბაქოს ნავთს, რომელიც რამდენიმეთ გამოაცოცხლებს ჩვენს მიმქრალს ეკონომიურ ცხოვრებას“.

„მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“. ნავთს არ გაძლევთ იმიტომ, რომ თქვენ მას ვრანგელს გაუგზავნითო. რაც უნდა არწმუნონ კომუნისტები, ჩვენი ნავთი ვრანგელს არ ჩაუვარდება ხელშიო, რაც უნდა საიმედო იყოს ჩვენი გარანტიები, როცა მათ ნავთის მიცემა არ უნდათ, იტყვიან,—არა, [illegible]. ასეთი პასუხი არ არის სახელმწიფოებრივი გრძნობით და პასუხისმგებლობით გამსჭვალული ხალხის პასუხი: იგი იმის მაჩვენებელია, რომ ადერბეიჯანის მესვეურნი შარებს იგონებენ დადებული პირობების დასარღვევად.

გავაფართოვოთ ჩვენი წარმოება ან გავქრეთ

— „გავაფართოვოთ ჩვენი წარმოება ან გავქრეთ!“ გაიძახის საფრანგეთის პრესა.

რამ გამოიწვია ეს საშინელი სასოწარმკვეთი აღმონაკვნესი?

მოხდა ის, რომ დაეცა ფრანკის ღირებულება და განა ფრანგს ამის მონელება შეუძლია? საფრანგეთი, ისიც გამარჯვებული, და მისი ფრანკი სათანადოთ არ შეფასებული! ეს ხომ აუტანელი მდგომარეობაა, ეს ხომ შეურაცყოფაა!

რად ღელავს საფრანგეთი? განა რამდენათ დაეცა ფრანგულ ფრანკის ღირებულება?

დავიწყოთ ინგლისიდან.

გირვანქა სტერლინგი ომამდე ღირდა 25,22 ფრანკი. ომის დაწყებისას გირვ. სტერლინგის ფასი ცოტათი დაიწია და 1914 წ. 2 აგვისტოს ფასობდა 25 ფრ. $15\frac{1}{2}$ სანტიმი (1 ფრ.=100 სანტ.). მაგრამ ამნაირი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ფასი გირვ. სტერლინგისა თანდათან მაღლა იწევდა და 1918 წ. ნოემბრის 11-ს იგი 26 ფრანკი ღირდა. ამ დღიდან დაწყებული 1919 წ. ივლისის 28 დის მისი ფასი გახდა 29,8 ფრ. ხოლო იმავე წლის დეკემბრის 31 სათვის ერთი გირვანქა სტერლინგის ფასმა მიაღწია 41,25 ფრანკს. ზრდა ინგლისის ფულის ღირებულებისა ამით არ დამთავრებულა. 1920 წ. იანვრის 15-ს გირვანქა სტერლინგი ფასობდა 42,75 ფრ. ივნისის 22-ს კი 43,50 ფრ.; 28.I. 20 წ. ავიდა 46,75 ფრ., ხოლო თებერვლის 1-სათვის დაეწია 45,75 ფრ.; ამ დღიდან დაწყებული თანდათან მატულობს ფასი გირვანქა სტერლინგისა და 7. II. 20 წ. მიაღწია 49 ფრ. 1920 წლის აპრილის 15-ს ავიდა 66,35 ფრ. ამაზე ზევით არ აწეულა ფასი გირვ. სტერლინგისა. შემდეგ შესამჩნევად ეცემოდა ღირებულება მისი და ამა წლის აგვისტოს დამლევს ღირდა 50 ფრ.

ამნაირად ინგლისის ბირჟაზე საფრანგეთის ფულის ფასი საშუალოდ დაეცა 50% და ეს აღელვებს ფრანგს.

ხოლო, მკითხველო, ამნაირივე „უბედურება“ ჩვენც რომ მოგვსვლოდა, იგივე „ფას დაკარგული“ ფრანგული ფრანკი ღირებოდა მხოლოდ 80 კაპ. მისმა ფასმა კი მიაღწია ჩვენში 100 მანეთამდის.

ახლა, ვნახოთ რა მოუვიდა ფრანგულ ფულს შეერთებულ შტატებში, ისპანიაში და შვეიცარიაში.

მაგრამ, რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მდგომარეობა, დავალაგოთ ციფრები ცხრილში. იქვე შევიტანოთ ზემო მოყვანილი ციფრებიც.

		ომამდე	2. 8. 14 წ.	11. 11. 18 წ.	28. 7. 19 წ.	31. 12. 19 წ.	15. 1. 20 წ.	21. 1. 20 წ.	28. 1.	7. 2.	15. 2.	აგვისტ. ბოლო
ინგლისის ფული—1 გირვანქა სტერლინგი—ღირდა	ფრანგული ფრანკი	25 ფ. 22 სანტ.	25,155 ფრ.	26 ფრ.	29,80 ფრ.	41,25	42,75	43,50	46,75	49	66,35	50 ფრ.
შეერთებულ შტატების ფული—1 დოლარი—ღირდა		5 ფ. 18 სანტ.	5,12	5,43	6,45	10,92	11,35	11,56	12,37	12,93	17,27	13,93 ფრ.
ისპანიის ფული—1 პესეტა—ღირდა		1 ფრ.	0,96	1,08	1,27	2,08	2,17	2,21	2,37	2,49	3,26	2,51 ფრ.
შვეიცარიის ფული—1 ფრანკი—ღირდა		1 ფრ.	0,96	1,08	1,27	2,08	2,17	2,21	2,37	2,49	3,26	2,51 ფრ.

როგორც მკითხველი შეამჩნევს, ფრანგულ ფულის მდგომარეობა მართლაც ვერაა სასურველად მოწყობილი. (ის მოვლენა, რომ იტალია-გერმანია-ავსტრია-უნგრეთში, ახლად შექმნილ სახელმწიფოებში და სხვაგან ფრანკი ძვირად ფასობს, საფრანგეთს ვერ აკმაყოფილებს). მისი (ფრანკის) ღირებულება შესამჩნევადაა დაცემული და რაღა გასაკვირველია, თუ მგრძნობიარე ფრანგმა ამნაირი სინამდვილე შეურიგებლად აღიარა და მთელის თვისის შემოქმედებითი ნიჭით და ძალღონით ებრძვის მას? ფრანგი არ კმაყოფილდება და არ მშვიდდება მარტო ობიექტიურ პირობათა აღმოჩენით. იგი მას იკვლევს მხოლოდ იმისათვის, რომ მოსპოს გამანადგურებელი პირობანი და მისცეს ცხოვრების მსვლელობას ნორმალური კალაპოტი და მით გაიუმჯობესოს თვისი აწმყო და მომავალი.

ამა თუ იმ სახელმწიფოს ფულის ღირებულება უმთავრესად ეცემა მაშინ, როდესაც იმპორტი სჭარბობს ექსპორტს, ესე იგი, უბრალო ენით რომ ვსთქვათ, როდესაც სახელმწიფო მეტს სჭამს, ვიდრე ჰქმნის. და, რასაკვირველია, თავმოყვარე ერი, მომავლისათვის მზრუნველი, უნდა შეაწუხოს, ჩააფიქროს ამ მდგომარეობამ. და, მართლაც, მთელი საფრანგეთი ამოძრავდა ამ სამარცხვინო მოვლენასთან საბრძოლად.

— მხოლოდ ექსპორტის გადიდებას შეუძლია გამოგვიყვანოს ამ გაჭირვებისაგან, ამბობს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ბ-ნი იზააკი თავის წერილში, რომლითაც მან მიმართა საფრანგეთის სავაჭრო პალატათა თავმჯდომარეთ და რომელშიაც იგი სთხოვს პალატებს სხვადასხვა საშუალებათა გამოძებნას ექსპორტის გასადიდებლად.

— უნდა გავზარდოთ წარმოება, თორემ გავნადგურდებითო, გაიძახის საფრანგეთის პრესა განურჩევლად მიმართულებისა.

ახლა გავეცნოთ საფრანგეთის ექსპორტ იმპორტის მდგომარეობას. მეტის სინათლისათვის მოვიყვანოთ საამისო ციფრები 1913 წ. (მშვიდობიანობის უკანასკნელი წელი) და 1919 წ. (ზავის პირველი წელიწადი):

საფრანგეთმა შემოიტანა უცხოეთიდან:

	1913 წელ.		1919 წელ.	
	ფუთი	ღირებული	ფუთი	ღირებული
სურსათ სანოვაგე	330.715.920	1.817.519.000 ფრ.	417.624.240	8.629.461.000 ფრ.
მრეწველობისათვის საჭირო მასალა	2.229.644.000	4.945.732.000 „	1.773.250.620	13.221.735.000 „
ფაბრიკატები	92 863.140	1.658.021.000 „	109.199.340	7,927.323.000 „
სულ	2 653.223.160	8.421.332.000 ფრ.	2.300.074.200	29.778.519.000 ფრ.
გაიტანა კი:	—	6 880 000.000 ფრ.	—	8.713.000.000 ფრ.

ამ ცხრილში აღნიშნულ 1913 წ. და 1919 წ. გატანილ-შემოტანილ საქონელთა ღირებულებანი რომ შევუფარდოთ ერთმანეთს, ადვილად გავიგებთ, თუ რად დაწეულა ფრანგულ ფრანკის ფასი.

იმის წარმოსადგენათ, თუ რანაირის ინტენსივობით იბრძვის საფრანგეთი ამის წინააღმდეგ, შევადაროთ 1920 წლის პირველი სამი თვის წარმოების სურათი 1919 წ. ამავე თვეების მდგომარეობას.

შემოიტანა საქონელი ღირებული:

	1920 წ. პირველ სამ თვეს		1919 წ. პირველ სამ თვეს.	
ინგლისიდან	1.623.669.000	ფრ.	1.591.541.000	ფრ.
შეერთ.-შტატებიდან	1.911.406.000	„	1 934.671.000	„
ბელგიიდან	424.954.000	„	11.246.000	„
შვეიცარიიდან	147.397.000	„	70.741.000	„
იტალიიდან	200.002.000	„	183.340.000	„
ისპანიიდან	175.034.000	„	266.238.000	„
ბრაზილიიდან	200.091.000	„	103.827 000	„
არგენტინიდან	497.677 000	„	384.621.000	„
ალჟირიდან	239.513.000	„	154.254.000	„
მაროკოდან	23.906.000	„	52.499.000	„
გერმანიიდან	321.183.000	„	—	
სულ	7.766.950.000	ფრ.	6.342.752.000	ფრ.

გაიტანა კი იმავე ხანაში:

ინგლისში	530.147.000	ფრ.	271.330.000	ფრ.
შეერთ.-შტატებში	313.774.000	„	76.017.000	„
ბელგიაში	677.644.000	„	78.866 000	„
შვეიცარიაში	271.480.000	„	85.152 000	„
იტალიაში	169.267.000	„	90.588.000	„
ისპანიაში	110.215 000	„	37.153.000	„
ბრაზილიაში	35.920.000	„	26.285.000	„
არგენტინაში	39.100.000	„	34.487.000	„
მაროკოში	210.303.000	„	160.176.000	„
გერმანიაში	231.156.000		—	
სულ	3.383.886.000	ფრ.	1.180.931.000	ფრ.

(მასალები ამოკრეფილია: „L'économiste fransais“, „Mon bureau“, „Le moniteur be l'exportation“, „Le commerce“, „La revue économique et financiére“, L'illustration économique et financiére“, „L'initiative commerciale“ და „L'exporteteur fransais“-დან).

მოყვანილი ციფრები ნათლად მოწმობენ, რომ **შარშანდელთან შედარებით წელს საფრანგეთს მეტი უმუშავნია** და კიდეც გაუტანია 2.202.955 000 ფრ. მეტი საქონელი, ვიდრე 1919 წ. იმავე დროს განმავლობაში. ხოლო 1920 წ. პირველ ექვს თვეში მას გაუტანია 7,780 201,000 ფრანკის საქონელი და 1919 წ. იმავე ხანაში 2,683,776,000 ფრანკისა, ესე იგი, შარშანდელთან შედარებით **ნახევარი წლის განმავლობაში გაუდიდებია თვისი ექსპორტი 5.096.425.000 ფრანკით.**

ექსპორტ-იმპორტის შეფარდების შედეგია საზომი, რომლითაც განისაზღვრება რომელიმე სახელმწიფოს ფულის ღირებულება. და ეს საზომი საფრანგეთმა თანდათან გააუმჯობესა. როგორც დეპეშებმა გვამცნეს ამ დღეებში,—მას გაუზრდია თვისი ექსპორტი 200%. მაშასადამე დღეს ფრანკის ფასი შესამჩნევად აიწევდა.

თუ რამ შეამცირა საფრანგეთის წარმოება, მკითხველმა, რასაკვირველია, იცის.

მსოფლიო ომი ისე საგრძნობი, როგორც საფრანგეთისათვის, არც ერთ სახელმწიფოსათვის არ ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოვიგონოთ, რომ საფრანგეთმა შესწირა თვის სამშობლოს 1.393 515 კაცი (მოკლული და უკვლოდ დაკარგული), ესე იგი, **ყოველ 27 მცხოვრებზე თითო მამაკაცი** და 2 800 000 დაჭრილ-დასახიჩრებული, რომელთა უმრავლესობას უნარი შრომისა დაკარგული აქვს.

ახლა ფულად.

მართალს ამბობს ჟირონდის დეპუტატი შომი: „ომის დროს ჩვენ გვექონდა ერთად ერთი საქონელი: ჩვენი ოქრო“-ო. (იხ. წიგნი Polac-ისა „Notre Commerce extérieur q'Aprés-guerre“).

როგორც ვხედავთ, ომის ქარიშხალმა მეტად დააზარალა საფრანგეთი; იგი, როგორც ეს ციფრებმა დაგვიმტკიცეს, უკვე შეუდგა თვის აღდგენას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადვილი საქმე არაა. სანამ რუსეთის საკითხი გამოურკვეველია, სანამ შეუძლებელია სრული რესტავრაცია ევროპისა.

ჩვენში ხშირად გაიგონებთ ხოლმე—საფრანგეთს რუსეთისადმი მისესხებულ ფულის გამო აღძრული ინტერესებიო.

ცხადია, ინტერესებს, მაგრამ რაა ფული იმასთან შედარებით, რაც ევროპას გაჰქონდა რუსეთიდან!

პურსა, შაქარსა და სხვას რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ, რომ წლიურად მარტო სელი გაჰქონდათ რუსეთიდან 66.389.400 ფუთი.

აი, ასეთია „ობიექტიური პირობები“, მაგრამ განა ფარ-ხმალი დაჰყარა საფრანგეთმა—და საზოგადოდ ევროპამ—და ამ „ობიექტიურ პირობებს“ თავი დაუდო გასანადგურებლად? არა!

იგი ცდილობს რუსეთის აღდგენას, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, საარსებო წყაროს სხვაგან ეძებს და—თუმცალა ძვირად უჯდება—მაგრამ პოულობს კიდეც.

ხოლ. ახვლედიანი.

ოსმალთა სომხეთზე თავდასხმის გამო.

სომხეთის მხრივ ცნობა. სომხეთის ჯარების მთავარსარდალი ოქტომბრის 25 აცნობებდა: ოქტომბრის 24 ოსმალები მთელი დღის განმავლობაში დიდის ძალღონით შემოტევას აწარმოებდენ იგდირის ფრონტზე, მაგრამ ჩვენმა ჯარებმა ისინი უკან უკუაგდეს.

დღეს

სომხეთის მისია იუწყება, რომ 24 ოქტომბერს მთელი დღის განმავლობაში ოსმალები დიდის ძალებით შეტევას აწარმოებდნენ იგდირის ფრონტზე, მაგრამ ჩვენმა ჯარებმა ისინი უკუ აგდეს.

საბჭოთა მთავრობას გადაუწყვეტია სამართალში მისცეს ჩეკარევო-ვარშავის რაიონში მებრძოლ ჯარების უფროსი გენერალი კლემბოვსკი და მისი შტაბის ყველა წევრი. მათ ბრალდებათ დაუდევრობა, რასაც შედეგათ მოჰყვა წითელ არმიელთა დამარცხება დასავლეთის ფრონტზე.

პოლონეთის სეიმმა რუსეთთან წინასწარი ზავის პირობები შეუცვლელათ დაადასტურა.

ბელგიის კაბინეტი გადადგა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ოქტომბრის 26.

ლიონის ცნობები

ერთა ლიგის საბჭოში.

სანამ პოლონეთ-ლიტვის საკითხის განხილვას შეუდგებოდნენ, ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა ლიტვაში მყოფ ერთა ლიგის მისიის მეთაურ პოლ. შარდინის მოხსენება.

გაფიცვა რუმინეთში.

საერთო გაფიცვის გამოცხადების საპასუხოთ რუმინეთის მთავრობამ გამოაცხადა საალყო წესები და ცენზურა შემოიღო. საზოგადოებრივმა აზრმა ეს ზომები მოიწონა. ბუქარესტში მშვიდობიანობაა. პროვინციაში გაფიცვები ვერ მოაწყვეს.

ზონის დატოვება.

სამხედრო სლავიის ჯარებმა დასტოვეს კლაგენფურტის საპლებისციტო ზონა.

პოლონეთ-რუსეთის ზავი.

პოლონეთის პრესა სიხარულით აღნიშნავს სეიმის მიერ წინასწარი ზავის— პირობების შეუცვლელად დადასტურებას. სეიმთან არსებულმა საგარეო საქმეთა კომისიამ საბოლოო ზავის პირობების შესწავლა დაიწყო. მოსალოდნელია, რომ რიგაში საბოლოო ზავის შესაკვრელად მოლაპარაკება კვლავ განახლდეს ამ ცოტა ხანში.

ბელგიის კაბინეტის გადადგომა.

მინისტრთა სხდომაზე დელაკრუამ თავის ამხანაგებს აუწყა კოლექტიური წერილის ტექსტი გადადგომის შესახებ. ამ წერილს დელაკრუა გადასცემს მეფეს, როდესაც ის დაბრუნდება საფრანგეთიდან.

მოკავშირეთა მთავრობა და ერთა ლიგა.

ბელგიის პრემიერ მინისტრმა დელაკრუამ განაცხადა: ლოიდ ჯორჯს უნდოდა, რომ დასწრებოდა ერთა ლიგის ორ უკანასკნელ სხდომას, საფრანგეთისა და ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეებთან ერთად. საფრანგეთის მთავრობას ამის შესახებ ჯერაც არ შეკითხვიან. „ტანი" ამის შესახებ სწერს: „მეტად საეჭვოა, რომ პასუხი დამაკმაყოფილებელი იქნეს." ორშაბათს დილით ერთა ლიგამ მოისმინა ლეონ ბურჟუას მოხსენება ბრიუსელში გამართულ ფინანსიურ კონფერენციის შესახებ. საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს მუდმივი ბიურო. შემდეგ მოხსენება გააკეთა იტალიის წარმომადგენელმა. მან ილაპარაკა მონოპოლიების შესახებ და საჭიროდ სცნო, რომ მუდმივმა ბიურომ რომლის დაარსებაც ახლა გადაწყდა, მონოპოლიის შესახებ იმსჯელოს.

ფრანგული ცნობები

საფრანგეთი და გერმანია.

გერმანიის მთავრობა ამ ჟამად პრესაში ეწევა აგიტაციას იმ მიზნით, რომ აჩვენოს ხალხს, თითქოს საფრანგეთს დღეს აქვს დიდძალი ნახშირი, რომელსაც ვერ ერევა და რომ იგი კიდევ დიდძალ ნახშირს იმარაგებს, იმ დროს როდესაც გერმანიის მრეწველობა სათბობი მასალის უქონლობის გამო სულს ღაფავს.

და ეს უწესრიგობა კი გამოწვეულია სპაში დადებულ შეთანხმების ასრულებით. ჩვენ ნამდვილად ვუახლოვდებით იმ დროს, როდესაც უნდა განვიხილოთ სპას დადგენილება, რომლის ვადა 1921 იანვრის დამლევს თავდება. სხვათა შორის, ზარალის ანაზღაურების საკითხი დღის წესრიგში სდგას. და იმ მიზნით, რომ მომზადონ უცხოელთა აზრი და გავლენა მოახდინონ მომლაპარაკებელ მხარეებზე—გერმანია აწარმოებს აქტიურ პროპაგანდას. გერმანიის რადიოსა და დეპეშების მიერ ნაჩვენები ციფრები ნამდვილი არ არის. საფრანგეთის რკ. გზას სათბობი მასალის მომარაგება, რომელიც 1913 წ. სექტემბერში 1,500,000 ტონს აღწევდა—ამ ჟამად საშუალოდ 269,00 ტონს უდრის. ამ რიცხვში შედის 5000 ტონი ელზას ლორენის რკ. გზისათვის. გერმანელები აცხადებენ, რომ მომარაგება გაზისათვის აღწევს 900,000 ტონს. სექტემბერში 300,000 ტონის მაგიერად 157,170 ტონი იყო რაც შეეხება ქალაქ პარიზს, მართალია, რომ მისი მომარაგება უდრის დაახლოვებით 150,000 ტონს, რაც 15 დღეს თუ იკმარებს; რასაკვირველია, ომამდის ქალაქს არ ჰქონდა არავითარი მომარაგება, მაგრამ ეს არც საჭირო იყო, რადგან ნახშირის ბაზარი თავისუფალი იყო, და მომარაგება მხოლოდ კომერსანტებს ქონდათ ამას გარდა საკმარისია ვთქვათ, რომ პარიზს საჭიროება 1920 წ. პირველი 6 თვის განმავლობაში, მხოლოდ 75% ეფარებოდა, იმ დროს, როდესაც ბერლინის საჭიროება 91% იფარებოდა. რაც შეეხება განცხადებას, რომ საფრანგეთს ზედმეტი ნახშირი აქვსო, სიმართლეს არ შეეფერება. სხვა და სხვა წყაროებმა, რომლებიც მას ასაზრდოებენ, მათ რიცხვში საარის ოლქმა, (რომლის ნახშირიც ელზას ლორენს უნდება) 1920 წ. 10 თვის განმავლობაში საფრანგეთს მისცა 33,300,000 ტონი, რაც წლიწადში შეადგენს 44.400,000 ტონს, საფრანგეთს მშვიდობიანობის დროს 65.000,000 ტონზე მეტი სჭირდებოდა, მისი საჭიროება ეხლა უფრო გაიზარდა, ვიდრე ომამდე იყო, მაგრამ ნახშირი იმდენათ ძვირია, რომ მისი მოხმარება ძალაუნებურათ შემცირდა. იმ დროს, როდესაც გერმანელები ტონ ნახშირში იხდიან 100 ფრანკს და ინგლისელები 80 ფრანკს, ფრანგებს ტონი ნახშირი საშუალოდ—200 ფრანკი უჯდებათ. გერმანია, რომელიც თავის საკუთარ ნახშირს ხმარობს და არ საჭიროებს ინგლისისა, ან ამერიკის 300—350 ფრანკიანი ნახშირის შემოტანას. ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე საფრანგეთი.

საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ეკონომიური თათბირი იტალიაში.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: ჯიოლიტმა მოიწვია საგანგებო თათბირი იტალიის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევათ. ეს თათბირი გამოწვეული იყო მუშების არეულობის გამო. თათბირი მოიწვიეს ციურიხში. დაესწრნენ მუშების, მრეწველების და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. დაესწრნენ აგრეთვე რომისა და მილანის პრეფექტები, რომელთაც განაცხადეს, რომ მუშების მიერ ქარხნებისა და საწყობების დაკავება კერძო საკუთრების უფლების დარღვევა არისო. თათბირზე აღნიშნეს, რომ იტალიის მდგომარეობა უფრო ანარქიას უახლოვდება, ვიდრე კომუნიზმს. გაზეთის ცნობით თუმცა თუმცა ამ თათბირზე შეთანხმება არ მომხდარა, მაგრამ შემრიგებელი ხაზი მაინც გამოსძებნეს. თათბირის შედეგებს აცნობებენ შრომის ფედერაციასა და მრეწველთა კავშირს. ამათ მიერ საკითხის გარჩევის შემდეგ მოწვეული იქნება მეორე თათბირი.

— „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ, ჯიოლიტის ფრთხილმა პოლიტიკამ იტალია სერიოზულ არეულობისაგან იხსნა.

ინტერვიუ კამენევთან.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იქვეყნებს ინტერვიუს კამენევთან, რომელიც აცხადებს: ლოიდ ჯორჯი იმდენათ გამოცდილია, რომ მას თავისუფლად შეუძლია არ დაეჯახოს პოლიტიკურ ზღვის ქვეშ არსებულ ქვებს. ლოიდ-ჯორჯის უმთავრესი მიზანია, რომ შეაჩეროს მუშათა მოძრაობა; ამისათვის იგი ხელოვნურათ სცდილობს ხალხს ეჭვი შეატანოს ბოლშევიკებისა და ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერების პატიოსნებაში. როდესაც კორესპონდენტი შეეკითხა მას რუსეთის ბრილიანტების შესახებ, მან განაცხადა, რომ რუსეთის ბრილიანტები ამ უკანასკნელ თვეებში მართლაც გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებში.

აჯანყებულნი წინ მიიწევენ.

ჰელსინგფორსი. მიღებულია ცნობები, რომ უკრაინის აჯანყებულნი წინ იწევენ და აიღეს ეკატერინოსლავი და ნიკოლაევი. ოდესაში მიმავალი გზები ყოველ მხრივ მოჭრილია.

ოთხი მთავრობა უკრაინაში.

„რუსაგენის" ცნობით უკრაინაში ამ ჟამად ოთხი მთავრობაა: 1) უკრაინის მთავრობა პეტრუშევსკის მეთაურობით 2) პეტლიურის მთავრობა სტანისლავოვში, 3) გალიციის საბჭოთა მთავრობა ზატონსკის მეთაურობით და 4) ხარკოვის საბჭოთა მთავრობა რაკოვსკის მეთაურობით.

უკრაინის ეკონომიური მდგომარეობა.

სტამბოლი. „რუსაგენის" ცნობით ხარკოვის „იზვესტიაში" დაბეჭდილია მანუილსკის წერილი, საიდანაც სჩანს, რომ საბჭოთა უკრაინის ეკონომიური მდგომარეობა უფსკრულის პირზეა მისული. მანუილსკი თავის წერილს ასე ათავებს: არსებობა თუ გვინდა უნდა ვიმუშაოთ. ეს კი რთული საქმეა, ვინაიდან აქ ჩვენ მცხოვრებლების პასიურ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე.

პოლიტიკური კომიტეტი.

ვარშავა. შესდგა რუსთა პოლიტიკური კომიტეტი სავინკოვის მეთაურობით. კომიტეტის პროგრამაა: დემოკრატიულ რესპუბლიკანური წყობილება, ფართო რეფორმები, გლეხებისათვის მიწის მიცემა, და სხვა.

სამართალში მიცემა.

მოსკოვი. პრესის ცნობით საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა ჩეკარევო ვარშავას რაიონში მებრძოლ უფროსი გენერალი კლემბოვსკი და მისი შტაბის ყველა წევრი სამართალში მისცეს. მათ ბრალად სდებენ დაუდევრობას. რასაც შედეგათ მოჰყვა წითელ არმიელთა დამარცხება დასავლეთის ფრონტზე.

იტალიელთა დარბევა.

ჰელსინგფორსი. მიღებულია ცნობა იტალიელთა დარბევის შესახებ უესტ-ფრანკფურტში (ილლინოისის შტატში) ამერიკელთა ბრბო, მას შემდეგ, როცა შემთხვევით ჩხუბის დროს მოკლულ იქნა ორი ამერიკელი, დაერია იტალიელთ, დაარბიეს იტალიელთა მაღაზიები და ბინები. იტალიელნი ძალით გამოჰყავდა ბინებიდან და ქუჩაში უსწორდებოდნენ. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. ჯერჯერობით დაჭრილია მხოლოდ 150 დაჭრილი და 10 მკვდარი. წესრიგის აღსადგენათ გაგზავნეს მილიციის გაძლიერებული რაზმი.

დეზერტირობა წითელ ჯარში.

სტამბოლი. „რუსაგენი" იუწყება: ბოლშევიკების მეათე არმიის უფროსი ოფიციალურად აუწყებს მოსკოვს, რომ ყუბანში წითელ არმიელთა შორის დეზერტირობამ საშიში ხასიათი მიიღო. ზოგიერთ ბატალიონებში დარჩა მხოლოდ 15 კაცი. კავალერია იძულებულია მთელი დრო მხოლოდ დეზერტირების დევნას მოანდომოს.

საკვირველია, რომ წითელი ჯარი იმარჯვებს.

ჰელსინგფორსი. ჰელსინგფორსის პრესაში დაიბეჭდა შემდეგი ამონაწერი გაზეთ „ნაციონალ ციტუნგიდან": „საკვირველია, რომ წითელი არმია იმარჯვებს. ეს ჯარი ერთიანათ წარმოადგენს მათხოვართა ბრბოს. საშინელ მდგომარეობაშია მათი ჩაცმის და გამოკვების საქმე. ატარებენ ძონძებს, იკვებებიან კი იმ ხალხის ხარჯზე, რომლებზედაც იმარჯვებენ.

ახალი ამბები

◆ **იუსტიციის სამინისტროში.** ოქტომბრის 22 იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის თავმჯდომარეობით შესდგა კანონების გადამსინჯავ კომისიის პლენარული სხდომა. სხდომას დაესწრნენ ზოგიერთი სენატორები, განიხილეს სისხლის სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი სამხედრო სასამართლოების გაუქმების შესახებ. მიიღეს პროექტის პირველი მუხლი, რომელიც ჯარებში სამხედრო სასამართლოების გაუქმებას ეხებოდა. გადასწყვიტეს სამხედრო სასამართლოს საქმეები ნაფიც მსაჯულთა თანადასწრებით საოლქო სასამართლოებს გადასცენ, ხოლო პოლკის სამმართველოების საქმეები კი უბნის მომრიგებელ მოსამართლეებს. საოლქო სასამართლოსა და მომრიგებელ მოსამართლის დადგენილების გასაჩივრება საერთო წესით იწარმოებს.

◆ **შემოსავალის კვალობით გადასახადი.** ოქტომბრის 28 „ჩემო"-ს საზოგადოების ბინაზე გ. ჟურულის თავმჯდომარეობით მოხდება კომისიის სხდომა შემოსავლის კვალობით გადასახადის რეკონსტრუქციის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **სასამართლო.** ოქტომბრის 24 სურამს გაემგზავრა საოლქო სასამართლოს სესია. სესია ოქტომბრის 30 გაგრძელდება.

◆ **მიწად მოქმედების სამინისტროში.** მიწად-მოქმედების სამინისტროს საიჯარადრო განყოფილებაში მცხვარეთა წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა თათბირი ზამთრისათვის საძოვარ ადგილებზე გადასახადის გადიდების შესახებ. თათბირმა საძოვარ ადგილებზე შემდეგი ნიხრი დააწესა: პირველ კატეგორიის საძოვარ ადგილის დესეტინა 200 მანეთი; მეორე კატეგორიის 160 მან, მესამე კატეგორიის 100 მან, განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც სამაზრო ერობათა შუამდგომლობით შეიძლება ეს გადასახადი გადიდებულ იქმნას 50%, თუ მიწად მოქმედების სამინისტროდან სათანადო ნებართვა იქმნა. თათბირის დადგენილებანი ცირკულიარის სახით ეუწყათ ერობებს.

◆ **სესხი.** ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას 6 პროც. შინაურ სესხისა და ერთდროულ სამხედრო-გადასახადის დაწესების პროექტი.

◆ **ბრიტანეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაცია.** ამიერ-კავკასიაში მყოფი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სთხოვს თფილისში მცხოვრებ ბრიტანეთის ყველა ქვეშევრდომს დაუყონებლივ გამოცხადდნენ სარეგისტრაციოთ თფილისში არსებულ ბრიტანეთის საკონსულოში (სერგიევის ქ № 13). მიღება სწარმოებს 9—1 საათამდე.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** ხუთშაბათს ფინანსთა სამინისტროში შესდგება სხდომა სახელმწიფოს მიერ ნავთის პროდუქტის დამზადების საკითხის განსახილველად. განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) ნავთის პროდუქტის ადგილობრივად ყიდვა, 2) მათი გაგზავნა და გადაზიდვა, 3) შენახვა, 4) ფასების დაწესება, 5) განაწილების გეგმის დამტკიცება.

◆ **მეღვინეთა საბჭო.** მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსდება მეღვინეთა და მევენახეთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეთაც იქნება ან მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგი და ან სამინისტროს საბჭოს წევრი. საბჭოში შევლენ წევრებათ: გარდა სხვადასხვა განყოფილების უფროსთა სხვა უწყების წარმომადგენლებიც. საბჭოს მიზანია განხილვა იმ საკითხებისა, რომლებიც მეღვინეობისა და მევენახეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. საბჭო მოკლე ხანში განიხილავს სამაზრო საბჭოების მოღვაწეობის გეგმებს და მეღვინე-მევენახეებისათვის საჭირო იარაღების მიწოდების საკითხს.

◆ **ქართულ ფრანგულმა სავაჭრო პალატამ** სთხოვა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, რათა მან იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ პალატას ნება დაერთოს საზღვარ-გარეთ კორესპონდენციის გაგზავნის საქმის მოწყობისა.

◆ **მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომა.** დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, „ქიმერიონში" მოხდება ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომა.

◆ **თფ. ქალაქის ტელეფონის ქსელის უფროსი** გვთხოვს მოვათავსოთ შემდეგი: ტელეფონის ჯირგვის დაზიანების გამო კირონის ქუჩაზე ვაცნობებ პლეხანოვის პროსპექტის რაიონის აბონენტებს, რომ ტელეფონების აღდგენა შეუძლებელია დაზიანებული ჯირგვის შესწორებამდე, რისთვისაც მიღებულია სასწრაფო ზომები.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი** თავის წევრთ შემოიტანონ მიმდინარე წლის საწევრო და დამატებითი გადასახადები და მით ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას.

◆ **მესამე რაიონის კოლექტივი ს. ს. დ. მ. პ.** მიმართავს რაიონის პარტიულ წევრებს შემოიტანონ საწევრო გადასახადი.

◆ **ხმოსანთა ყრილობა.** 31 ოქტომბერს დანიშნულია დუშეთის მაზრის საერობო ხმოსანთა ყრილობა, რომელიც გაიხსნება საღამოს 4 საათზე.

◆ **ერობათა კავშირის კომიტეტი** ამ ჟამად ბეჭდავს და ახლო მომავალში გამოვა გასასყიდად და ხელის მომწერთათვის დასარიგებლად ვ. ინგოროყვას შრომა: პროექტი და განმარტებითი წერილი საქართველოს ტერიტორიის ახალ საადმინისტრაციო ერთეულად დანაწილების შესახებ. შრომა მოწონებული და მიღებულია დამფუძნებელ კრების თვითმართველობის კომისიის მიერ. წიგნის დაკვეთა შეიძლება წინდაწინვე ჟურ. „ერობის" რედაქციაში (რუსთაველის პროსპექტი 24).

◆ **სასკოლო სახელმძღვანელო წიგნები.** საკუთარ წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ., სასტუმრო „ორიანტის" ქვეშ, იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული შემდეგი სახელმძღვანელო წიგნები: დედა ენა I ნაწ.; დედა ენა II ნაწ.; ახალი ისტორია რუსული ისტორიის დართვით, გიმნაზიის მე-6 კლასის კურსი გველესიანისა და დ. უზნაძისა; რომის ისტორია, გიმნ. ზიის მე-5 კლასის კურსი პროფ. დ. უზნაძისა; რუსული ენის გრამატიკა პროფ. გ. ახვლედიანისა; ქართველი მწერლები I ნაწ. ივ. გომელაურისა; ქართველი მწერლები მე-2 ნაწ. ი. გომელაურისა; არითმეტიკის სახელმძღვანელო ი. ავალიშვილისა; არითმეტიკის სახელმძღვანელო ე. ხრამელაშვილისა; არითმეტიკული ამოცანათა კრებული 1 ნაწ., მისივე; იგივე მე-2 ნაწ.; ფიზიკა კოლონგოვის, ხუციშვილის მიერ ნათარგმნი; ბუნების მეტყველების მოკლე სახელმძღვანელო ს. იაშვილისა; საზოგადო გეოგრაფია (აზია აფრიკა, ავსტრალია) მისივე; მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია პროფ. ალ. ხახანაშვილისა; ქართული სიტყვიერების გაკვეთილები ვ. ბარნოვისა; რუსკოე სლოვო 1 ნაწ. ი. გოგებაშვილისა; რუსკოე სლოვო მე-2 ნაწ. მისივე.

კრებები.

— ხუთშაბათს 28 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე თფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დანიშნულია ამავე ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება.

— პარასკევს, 29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა. დღის წეს რიგი: 1) სარევიზიო კომისიის არჩევნები. 2) სამანდატო კომისიის არჩევნები, 3) რუსეთში გასაგზავ მუშათა დელეგაციის შესახებ და სხვა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. საბჭოს წევრებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

— ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება თფილისის პროფ. კავშირთა ცენტრალური ბიუროს სეკრეტარიატის მორიგი სხდომა. განსახილველია მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

— პარასკევს, 29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე კავშირის ბინაზე (მუშათა სასახლეში), შესდგება სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებათა უმცროს მოსამსახურეების საზოგადო კრება. როგორც მეორეჯერ მოწვეული, კრება კანონიერი იქნება დამსწრეთა რიცხვის მიუხედავათ. განსახილველია: სახელმწიფო უფროს მოსამსახურეთა კავშირთან გაერთიანება, მიმდინარე საკითხები.

— დღეს, სღ. 5 საათზე თავის ბინაზე დანიშნულია ახალ. მარქ. ორგ. ცკას სასწრაფო სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

— მეოთხე რაიონული კოლექტივი, ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე, იწვევს მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებას, რომელზედაც ევროპის მუშათა მოძრაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ქ. გვარჯალაძე.

— ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს საღ. 5 საათზე ს. ს.-დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ბინაზე (ცხეთის ქ. № 1) შესდგება საზოგადო კრება არამიანცის საავადმყოფოში არსებულ იაჩეიკასა და პარტიის წევრთა. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები და ამიტომ ამ კრებას უნდა დაესწროს ყველა წევრი, რომლებიც მიწერილნი არიან არამიანცის საავადმყოფოს სხვადასხვა განყოფილებებისათვის.

პროვინციის ქრონიკა.

ახალი სატყეოს დაარსება.

ჭიათურაში ჩამოვიდა მიწად-მოქმე-

დამჭკნარი ყვავილები

(დასასრული)

ვარდო და ნესტორი, იმ დღიდანვე განსაკუთრებული მიზნით დაუახლოვდნენ კაკოს და ნელ-ნელა შეუმჩნევლად ახაგეს მერცხალა: ვითომ არც კი იცოდნენ, თუ ის კაკოს საცოლე იყო. იმაშიც კი დაარწმუნეს, რომ ვითომ მერცხალას ბუშიც კი ყოლოდა... ვარდომ ეს ისე იცის, როგორც თავის ხუთი თითი..

ამავე დროს კაკოს გააცნეს და დაუახლოვეს ერთი მათი ნათესავი ქალი, რომელსაც ის იყო გიმნაზია გაეთავებია და სოფელში აპირებდა მასწავლებლობას.

— ბედნიერი კაცი იქნები, ნადეჟდა რომ შენ წაგყვებოდეს ცოლად. ნასწავლი, ლამაზი, დედის ერთა. თელი ქონება შენ დაგრჩება, ეუბნებოდა ვარდო კაკოს.

ნადეჟდა მართლა საუცხოვო სილამაზის ქალი იყო, იშვიათი იყო ისეთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც მას დაუახლოვდებოდა და არ მოიხიბლებოდა.

გიმნაზიაში ყოფნის დროს ბევრი თაყვანისმცემლები ჰყავდა ნადეჟდას, მათ შორის სტუდენტობაც, მაგრამ მისი გული და გონება საბოლოოდ, ვერც ერთზე ვერ შეჩერებულიყო, თავის გულის სწორი ვერ ამოერჩია; ისე ჩამოვიდა სოფელში. თუმცა მათ შორის ერთი მათგანი სხვებზე უფრო აგონდებოდა და მისგან წერილებიც მოსდიოდა, მაგრამ ნადეჟდას გადაჭრილი პასუხი ჯერ კიდევ არ მიეცა მისთვის.

აი ეს ქალი უნდოდათ ნესტორს და ვარდოს კაკოსათვის საცოლოდ.

ნადეჟდასაც კაკო იდეალურ საქმროდ და იშვიათ ყმაწვილ კაცად დაუხატეს. მასთან იმაშიც დაარწმუნეს, რომ პირველი ნახვის თანავე ის მოიხიბლა ნადეჟდასაგან, რომ კაკო აუცილებლად თავს მოიკლავს, თუ ნადეჟდა მისი საცოლე არ იქნება. ამაშივე დაარწმუნეს კაკოც დაიხმარიეს თვით კაკოს მშობლებიც. ერთ საღამოს ორივენი საკმაოდ შეზარხოშე, და... ჯვრის წერის დღეც დანიშნეს...

კაკომ გადასწყვიტა ნადეჟდას შერთვა, მარა ამავე დროს მერცხალაც ძლიერ ებრალებოდა, ის მუდამ თვალწინ ედგა და მოსვენებას არ აძლევდა. აჩრდილივით დასდევდა ყველგან. რაღაც არ სჯეროდა მისი ასეთი საქციელი. მაგრამ ვარდოსა და ნესტორის გარდა ცუდი ხმები მერცხალას შესახებ სხვებისგანაც გაიგონა, რაც თვით ვარდომ და ნესტორმა მოაწყვეს; ეს კაკომ ვერ მიხვდა ამის შემდეგ კაკომ მერცხალას ჩამოშორება დიდ დანაშაულად აღარ ჩასთვალა.

მერცხალამ კი არაფერი იცოდა. მან ახსნა კაკოს ჩამოშორება იმით, რომ ის უსწავლელი და თან ღარიბი იყო. ნადეჟდა კი ნასწავლი, მაზე უფრო ლამაზი და თან დიდი მზითევიანი, რამაც სძლია კაკო და ჩამოაშორა მას.

როცა დარწმუნდა მერცხალა, რომ კაკო მისი აღარ იყო, შეეცადა ყოველივე ეს აეტანა, გრძნობისთვის დაეძლია, მაგრამ ველარ შესძლო და დამარცხდა... მან გადასწყვიტა სწორედ იმ ღამეს, რა ღამესაც კაკო ნადეჟდაზე ჯვარს დაიწერდა, რევოლვერით თავი მოეკლა.

ნესტორის და ვარდოს სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც მათ მიზანს მიაღწიეს და მერცხალას სამაგიერო უხდიდნენ.

— ასე გახლავს, ვინც ჩემა დამცირება მოინდომებს ის ჩემგან ხეირს ვერ გაიტანს,—თავმომწონეთ ტრაბახობდა ნესტორი.

— დაჯდეს ეხლა ქალბატონი მერცხალი და წყნოს მატყლი,—ხითხითებდა ვარდო.

6.

მერცხალას დედამ მეორე დღესვე გააგებინა ქმარს შვილის ასეთ მდგომარეობის ყოფნის მიზეზი.

მშობლებმა მაშინვე მიიღეს ყოველივე ზომები კაკოს მოციქული მიუგზავნეს, ოღონ შვილს ნუ დაგვღუპავ და მთელი საცხოვრებლის ნახევარი შენი იყოსო, შეუთვალეს, მაგრამ გვიან და იყო. კაკოსა და ნადეჟდას შორის ნიშნობა უკვე მომხდარიყო და ჯვრის წერის დღეც დანიშნათ. ორივე მხარე დიდი ქორწილისათვის ემზადებოდა, ჯვრის საწერი ტან საცმელები იკერებოდა, რომ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად კაკო ჯარში გაიწვიეს... ამის შემდეგ ნადეჟდამ აღარ ინება კაკოზე ჯვარის დაწერა.

— რა გამიჭირდა, რომ ომში წასასვლელ კაცზე ჯვარი დავიწერო, ვინ იცის ცოცხალი დაბრუნდება თუ არა. რა მაჩქარებს დაბრუნდეს, ომიდან და შემდეგ დავიწეროთ ჯვარსო, ამბობდა ნადეჟდა, რომლის საწინააღმდეგოთ ვერავინ ვეღარ სთქვა-რა. და კაკოც ომში წავიდა სამხედრო ვალის მოსახდელათ.

7.

პირველათ კაკო საქართველოში დანიშნეს და წერილებიც ხშირად მოსდიოდა მის დანიშნულს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ის გერმანიის ფრონტზე გაისტუმრეს ჯართან ერთად, საიდანაც მხოლოდ ერთხელ მიიღო ნადეჟდამ წერილი. ამის შემდეგ, მთელი წლის განმავლობაში არავითარი ცნობა აღარ მოსულა კაკოსაგან. ის ჯარი, რომელშიაც კაკო იყო ფერშლად დანიშნული, გერმანელებმა გაანადგურეს და ზოგიც ტყვეთ წაიყვანეს.

კაკოზე ხმები დადიოდა, ტყვეთ არის წაყვანილიო, ზოგიც ამბობდა უგზო უკვლოთ დაიკარგაო. მაგრამ ერთი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ არც ერთი ეს არ იყო მართალი. კაკოს მშობლებმა შვილისაგან წერილი მიიღეს. იწერებოდა: „გერმანიის ფრონტზე შრაპნელით დამჭრეს თავში და მარჯვენა მკლავში. პირველ ორი თვის უიმედოთ ვიყავი, მაგრამ შემდეგ ხელი მომჭრეს და სიკვდილს გადავურჩი, მაგრამ დიას კი აწინდელი ჩემი სიცოცხლე!.. ასე კარგათ წავიდა ჩემი საქმე... კიდევ კარგი, რომ ცოცხალი გადავრჩი, ვინ მოსთვლის რამდენი ჩემი საუკეთესო ამხანაგი დაიღუპა ამ ჯოჯოხეთურ ბრძოლაში... ძნელია ამ საშინელებიდან აქედან მოწერა. თქვენ როგორ ხართ, რატომ ერთი წერილი არ მომწერეთ? სად არის ნადეჟდა? ის აქამდის მე არ მომიცდიდა. რომც მოეცადა, უხელო კაცს ხომ არ გაყვება?.. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი..., როგორ არის მერცხალა? როგორ ხართ თქვენ? ყველაფერი დაწვრილებით მომწერეთ, ნურაფერს ნუ დამიმალავთ. მე ორ-სამ თვეში სრულიად თავისუფალი ვიქნები და ჩამოვალ... უხელოდ.. სამაგიეროთ ჩამოვიტან ჯვარს... ჯვარი სჯობია თუ მარჯვენა ხელი, ამის გამოცნობა თქვენთვის მომინდვია... სიყვარულით. მომიკითხეთ მეზობლები, განსაკუთრებით მერცხალა..." კაკო არც მოსტყუვდა, ნადეჟდა უკვე გათხოვდა იმ სტუდენტზე, რომლიდანაც ხშირათ მოსდიოდა წერილები.

სამაგიეროდ მერცხალა არ ივიწყებდა კაკოს. მან იმდენი იჯავრა კაკოს ომში წასვლა და ისე უპატივცემულოდ ექცეოდა თავის თავს, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ველარ იცნობდით... გახდა და კიდევ უფრო გულჩათხრობილი შეიქნა. როცა წერილი აღარ მოვიდა, მან ოთახში წოლაზეც კი აიღო ხელი.— ვის იცის ჩემს კაკოს სად, რომელ ხის ძირში სძინავს, მე თბილ ოთახში რატომ უნდა მეძინოსო,—ამბობდა მერცხალა. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გადიოდა მასთან. მთელი დღის განმავლობაში ერთხელ თუ შეჭამდა რამეს, ისიც დიდი თხოვნით. რის გამო მერცხალა სრულიად გამოიცვალა, ჩამოხმა და დაავადმყოფდა.

მაგრამ როცა კაკოსაგან წერილი მოვიდა და მერცხალამ გაიგო, რომ ის ცოცხალი იყო, მერცხალას კვლავ მოუნდა წინანდელი სიცოცხლის დაბრუნება. ეხლა ისევ გაუტკბა სიცოცხლე. ეხლა დარწმუნებული იყო, რომ კაკო მისი იყო. ორი თვის შემდეგ კაკოც დაბრუნდა, სრულიად გამოცვლილი. გამხდარი, გაჭაღარავებული, თითქო ორმოცი წლისა იყო.

იმავე დღეს მერცხალასთან გაჩნდა, დანაშაულის პატიება უნდოდა ეთხოვა, მარა გვიანღა იყო, მერცხალა ლოგინად ჩავარდნილი დაუხვდა, ლანდით ჰცველი და მისუსტებული. წინანდელი მერცხალასი მხოლოდ თვალები ღა შერჩენოდა... კაკოს დანახვაზე მერცხალა უცებ გამოცოცხლდა, ანგარიშ მიუცემლად ორივენი სიხარულის ცრემლებს ფრქვევით მხურვალედ ჩაეკონენ ერთმანეთს.. მაგრამ რა დაინახა მერცხალამ, რომ კაკოს მარჯვენა ხელი აღარ ჰქონდა, გული წაუვიდა და ძლივს მოაბრუნეს.

კაკომ ეხლა იგრძნო თავისი დანაშაულობა. ისიც გაიგო, თუ რატომ ჩამოაშორეს მერცხალა მას, მაგრამ ეხლა გვიანღა იყო...

მერცხალას შემობრუნების იმედი აღარ იყო...

— ჩემო კაკო! რა ბედნიერი ვარ, რომ უკანასკნელად ვღირსე შენს ნახვას... —დაიწყო ქვითინით მერცხალამ მობრუნების შემდეგ.—ჩემი თავი სიზმარში მგონია... მაგრამ ეს ხელი. შენი მარჯვენა, ველარ დაუხუჭავს თვალებს შენს უბედურ მერცხალას...—მერცხალას კვლავ ცრემლები მოერია..— როგორ მიყვარდი.. როგორ მინდოდა შენი ერთგული მეგობარი, შენი ცოლი ვყოფილიყავი...

— თუ გინდოდა—კიდევ იქნები, თუ მიკადრებ და არ დამიწუნებ დამახინჯებულს, ცალხელას, ჩემო ძვირფასო! მაპატიე, დამნაშავე ვარ, მომიტევე... დაგვღუპეს უნამუსო ადამიანებმა... აპატიე შენს უბედურ კაკოს...—ცრემლების ფრქვევით უთხრა კაკომ მერცხალას და საწოლის წინ დაჩოქილმა ხელზე აკოცა...

მერცხალამ თავზე ხელი გადაუსვა კაკოს, ადგომა სთხოვა და მისი მარცხენა ხელი გულში ჩაიკრა, თითქოს ეშინოდა კიდევ არავინ მომტაცოსო.

— დიახ, ჩემო კაკო, დაგვღუპეს.. ყველაფერი გავიგე, თუ ვის შეშურდა ჩვენი ბედნიერება, მაგრამ გვიან არის. მე შენთან ცხოვრება აღარ მეწერებია... ჩემი დღეები დათვლილია... რა კარგია, რომ უკანასკნელად ვეღირსე შენს ნახვას... მაგრამ... შენ...—მერცხალას სიტყვა პირში გაუჩრა, ცრემლები ლაპარაკს უშლიდა.

— მორჩები ჩემო ძვირფასო, მორჩები. თავს შემოგევლები და რაკი ცოცხალს მიგისწარი, აწი აღარ მოგკლავ, ყველგან წაგიყვან, გაგართობ, შენ ოღონ დამშვიდდი, ნუ სტირი.—ევედრებოდა მერცხალას კაკო და ბავშვივით გულში იხუტებდა, შუბლზე და ხელზე კოცნიდა, ეალერსებოდა.

— როგორ მიხარია შენთან ცხოვრება, შენი მეგობრობა...—განაგრძო მერცხალამ ცოტა დამშვიდების შემდეგ —შენ არ შეგიძლია წარმოიდგინო, ჩემო კაკო, ის ბედნიერება, ნეტარი ის ტკბილი წუთები, რასაც მე შენს მოგონებაზე ვგრძნობდი. არამც თუ შენ, მიყვარდა შენი კარ-მიდამო, შენი შინაურები... შენი მეზობლებიც კი რაღაც არაჩვეულებრივ და საყვარელ ადამიანებად მეჩვენებოდა.. რა კარგი ყოფილა უმანკო სიყვარული... მე მიწაში ჩავიტან შენს ტკბილს სიყვარულს, მაგრამ შენი დაობლება და დასახიჩრებაც თან მიმყვება ჯოჯოხეთად.., ნეტავი შეგხვედრებოდეს ვინმე ღვთისნიერი, შეგიმსუბუქოს ნახევარ კაცს ტანჯული სიცოცხლე... მე კი, მე მიწა მიმეგობრებს... ამ ქვეყნად აღარ გიხადეს მეგობრის ღირსი... ასეთი ყოფილა ჩემი ბედი...

მერე როგორ მიყვარდა ყველაფერი.. ქვეყნიერება სამოთხედ მეჩვენებოდა, როგორ შევტრფოდი, შევხაროდი სიცოცხლეს და როგორ ძალად ჩამიქრეს ის.. სიმართლის ქმნისათვის დამსაჯეს.. შენმა გაუფრთხილებლობამ დაგვღუპა ჩემო კაკო... მაგრამ არა, ჩემი ბრალია... ოხ, ქვეყნებო!.. რატომ დამამწყვეთ ასე უდროოთ... რატომ შეურაცხყავით ჩემი წმინდა გრძნობა... უკანონო შვილის დედათ მომნათლეს... გაიმარჯვეს... ამით გაიმარჯვეს.. უკანონო შვილის დედა... ხა... ხა... ხა... ხა...—მერცხალას ისტერიული სიცილი წასკდა, მაგრამ სიცილი მალე ცრემლებზე შეიცვალა ორივე ხელები თმაში იტაცა და ბალიშზე დაეცა...

წყეულებო.. რას გვერჩოდით რას... რატომ მოგვისპეთ ტკბილი სიცოცხლე, რატომ ჩაგვიშხამეთ მშვენიერი მომავალი... რატომ... გულსაკლავად—ქვითინებდა მერცხალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების სამინისტროდან გამოგზავნილი ტყეების გამგე ვ. ი. წერეთელი, რომელიც შეუდგა ქიათურის ახალ დაარსებულ სატყეო მოწყობას ყოველ მხრივ. წერეთელი უმთავრეს ყურადღებას აქცევს 5 დეკემბრის, 1919 წლის დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას, რისთვისაც მან რამოდენიმე თემები კიდევაც შემოიარა, სადაც დეკრეტის შესახებ მოხსენებები გააკეთა.

ტფილისის ქალ. საბჭოში

ოქტ. 25 ა. მდივნის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. განაგრძეს განხილვა კ. ფანიევის მოხსენებისა სასურსათო მდგომარეობის შესახებ. კამათის შემდეგ საბჭომ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: მოისმინა რა გამგეობის დაწვრილებითი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რითი იყო გამოწვეული მთავრობის თავმჯდომარის უჩვეულო ბრძანება, ტფილისის თვითმართველობისადმი პურის ცხობის საქმის მოუწესრიგებლობის გამო—ქალაქის საბჭო აღიარებს, რომ გამგეობას მიუღია სხვადასხვა ზომა ხსენებულ ბრძანებაში აღნიშნულ დეფექტების ასაცილებლად, მაგრამ ზოგიერთ დეფექტს მაინც ჰქონდა ადგილი. ეს აიხსნება ერთი მხრით გამგეობის წევრთა მრავალი სხვა მძიმე მოვალეობით დატვირთვით და ტეხნიკური დაბრკოლებით, ხოლო მეორე მხრით იმ გარემოებებით, რომ სხვა პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა ვერ შესძლო სათანადო ღირსების ხორბლის მიწოდება.

იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, საბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ გამგეობა განახლებული შტატის შემწეობით შესძლებს მომავალში თავიდან აიცილოს ასეთი შემთხვევები: უცხადებს მას სრულ ნდობას და სთხოვს განაგრძოს თავისი მოღვაწეობა.

საბჭოს სასურველად მიაჩნია, რომ გამგეობამ თვითონ აიღოს პურის მიწოდების საქმე ხელმისაწვდომ ფასებში, არა მარტო მუშა-მოსამსახურეთათვის, არამედ ქალაქის ღარიბ ნაწილებისათვის.

საბჭო ამასთანავე სასურველად სცნობს, რომ მომავალში ასეთი ბრძანება განკარგულების სისრულეში მოყვანა ხდებოდეს თვითმართველობის ორგანოთა საშუალებით და უკანასკნელი მსჯავრი გამოჰქონდეს სასამართლოს.

საბჭო ადგენს: არჩეულ იქნას სპეციალური კომისია საბჭოს ხმოსანთაგან, რომელსაც ევალება დეტალური გამოძიება ამ საქმის მოუწყობლობის მიზეზებისა იმდენად, რამდენადაც ეს ეხება ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს და სათანადო მოხსენებით საბჭოში შემოსვლა არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა.

შემდეგ საბჭომ დაადგინა: 1) აბანოების შეკეთების საჭიროების გამო აბანოების სარგებლობისათვის გაადიდოს ტარიფი. დასასრულ კითხულობენ საბჭოს თავმჯდომარის ა. ს. ლომთათიძის განცხადებას 1 თვით განთავისუფლების შესახებ. ეს განცხადება საბჭომ მიიღო. (სდს.).

უცხოეთი

საბჭოთა კაპიტალიზმი. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" 21 სექტემბრის ნომერში სტოკჰოლმის კორესპონდენტი ზემოთ მოყვანილ სათაურით ათავსებს შემდეგ საინტერესო ცნობებს ურალის წარმოების რეორგანიზაციის ახალი გეგმის შესახებ.

„სტოკჰოლმში მოდის ცნობები, რომ ბოლშევიკებმა გამოიმუშავეს ახალი გეგმა, რომლის მიხედვითაც დიდი მადნეულროები და მეტალურგიული ქარხნები ურალზე უბრუნდება მათ კანონიერ პატრონებს. ეს აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ საბჭოთა გამგებლობის დროს მაღაროების და ქარხნების ნაყოფიერება მეტად დაეცა და იგი უდრიდა 10 პროც. ომამდე არსებულ შრომის ნაყოფიერებას. კრასინმა ამის გამო დაიწყო მოლაპარაკება „ნაციონალურ საზოგადოებასთან" სტოკჰოლმში იმ მიზნით, რომ მიხწეული ყოფილიყო შეთანხმება საზოგადოებისათვის მის ქონების დაბრუნების საკითხის შესახებ. „ნაც. საზოგადოება" არის ლენის ოქროს მწარმოებელთა საზოგადოების, რუსულ საზოგადოების და სხვათა წარმომადგენელი. ის მჭიდროთ არის დაკავშირებული კაშტიმის და ირტიშის საზოგადოებებთან.

ბოლშევიკებმა შემოიტანეს წინადადება, რომ ერთ შვეციის ბანკს „ენსკილდებანკს" შეედგინა კომპანია, რომლის ძირითადი კაპიტალი იქნებოდა 150 მილიონი შვედური კრონა. აქედან 50 მილიონი შეადგენს საექსპლოატაციო კაპიტალს, ხოლო 100 მილიონის აქციები დაეთმობა ბრიტანეთის ფირმებს მათ წინანდელ ქონების მაგიერ, აქამდის ინგლისელებმა არ მიიღეს ეს წინადადება, ისინი მხოლოდ მსჯელობენ მის შესახებ. ამწინადადების მიღების წინააღმდეგ მეტად სერიოზული საბუთებია, რადგან, თუ ისინი დასთანხმდებიან ბოლშევიკებისაგან თავის საკუთარ ქონების ყიდვის წინადადებაზე, ამით ისინი მოუსპობდნენ თავის თავს უფლებას,—შემდეგში მოეთხოვათ ბოლშევიკებისაგან—ზარალის ანაზღაურება და გაფუჭებული ქონების საფასურის გადახდა.

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო კონგრესი. პროფესიონალურ ინტერნაციონალის მდივანი ჰოლლანდიის სოციალისტურ გაზეთში „ჰეტფოლკში" იძლევა უფრო დაწვრილებით ცნობებს პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ყრილობის შესახებ, რომელიც უნდა შეიკრიბოს ამა წლის ნოემბრის მეორე ნახევარში, ბრიუსელში. იმის გამო, რომ ამერიკაში ხდება პრეზიდენტის არჩევნები და ამ არჩევნებმა მიიპყრეს აგრეთვე შეერთებულ შტატების პროფესიონალური კავშირების ყურადღება—ყრილობა გადატანილია 8-დან 23 ნოემბრამდე.

ყრილობის დღის წესრიგში პირველ ადგილზე სდგას საკითხი წარმოებისათვის ნედლი მასალის განაწილების შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის განაწილების უკეთესი ორგანიზაციის მოწყობას. ამას გარდა საჭიროა ზღვის და ხმელეთის ტრანსპორტის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიზნით ყრილობა წამოაყენებს საწარმოო საშუალებათა სოციალიზაციის და მსოფლიო სატრანსპორტო წარმოებების შესახებ მოთხოვნილებებს. ყრილობაზე გაირჩევა აგრეთვე ვალიუტის საკითხი. ვალიუტის დაბალი კურსი მიჩნეულია, როგორც ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი უმუშევრობისა. მეოთხე ადგილას სდგას საკითხი მუშათა მოძრაობის დევნის შესახებ ცალ-ცალკე ქვეყნებში. საბერძნეთში, ისპანიაში, ნაწილობრივ აგრეთვე იტალიაში და საფრანგეთში მუშათა მოძრაობის მიმართ კვლავ იღებენ რეპრესიებს. ამ ქვეყნების ბურჟუაზიას სურს წაართვას მუშებს ყველაფერი, რაც მან მოიპოვა ომის დროს. პროფ. კავშირების საერთაშორისო ყრილობა აპირებს შეუთანხმდეს კერძო საერთაშორისო პროფესიონალურ ორგანიზაციებს, როგორც მაღაროებში მომუშავეებს, მეტალისტებს და სხ., იმისთვის, რომ გამონახოს ზომები რეაქციასთან საბრძოლველათ. შემდეგ ყრილობა დაიხავს სოციალიზაციის საერთო პროგრამმას, რომელიც შეგუებული იქნება ეხლანდელ პირობებთან.

— დამშვიდდი ჩემო კარგო, მეპატიე ჩემო სიცოცხლევ, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, მე, რომელმაც დაუჯერე ღვარძლიანი ადამიანების ჭორებს და ასეთი სპეტაკი გრძნობის, მაღალი სულის ადამიანი დაგტანჯე, დაგღუპე და თავიც დავიღუპე... მაპატიე... შეიბრალე შენი გაუბედურებული ქმარი, შენი დასაბეჩავებული კაკო... ყველაფრის ღირსი ვარ, ყველაფრის, ოღონ შენ მებრალები.. მაპატიე.. გთხოვ... გევედრები—ბავშვივით ზლუქუნებდა გულამოსკვნილი, სარეცელის წინ დაჩოქილი კაკო...

— გვიან არის ჩემო კაკო.. ჩემი დღეები დათვლილია.. ეკითხოს იმათ, ვინც ასე გაგვაუბედურა.. — მისუსტებული ხმით ძლივს ლუღლუღებდა ცრემლებით დამდნარი მერცხალა. კაკომ და მისმა მშობლებმა ყოველი ღონე მიიღეს მერცხალას გადასარჩენათ. პირველათ თითქოს კიდეც მოიკეთა, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ისევ თანდათან დასუსტდა, მადა დაეკარგა და...

კაკოს ცქერაში დალია უმანკო, ტანჯული სული...

8.

კაკოს ტანჯვა აუწერელი და განუსაზღვრელი იყო. ის, ისე ეჭირისუფლა მერცხალას, როგორც საყვარელი ქმარი ჯვარნაწერ ცოლს.

არც მკვდარს ივიწყებს: გულჩათხრობილი დაობლებული, ხშირათ დადის მასთან, ზაფხულობით მუდამ ცოცხალი ყვავილებით აქვს შემკული საყვარელი სატრფოს საფლავი. თავისუფალ დროს აქ ატარებს, აქ კითხულობს და მეცადინობს. მისი სახე მუდამ დაღვრემილი და მტირალია. უდროვოთ დამჭკნარი ლოყები, გათეთრებული წვერ ულვაში და თმა, სამოცი წლის მოხუცს უფრო მოგაგონებს, ვინემ ოცდა ექვსი ოცდა შვიდი წლის ვაჟკაცს.

ზოგჯერ ჩამოეძინება კიდეც კითხვის დროს და ამ ძილში სანეტარო სიზმრებს ხედავს: თეთრ კაბაში გამოწყობილი მერცხალა მის გვერდით ზის და მისეური მხიარული ღიმილით ეალერსება საყვარელ ქმარს.

კაკო ამწვანებულ მდელოზე წამოწოლილი, მშვენიერ ბაღში, თავი მერცხალას მუხლზე აქვს მიყრდნობილი და ცხოვრების მომავალ მშვენიერებაზე აქვთ საუბარი. იქვე მახლობლათ კი სამი წლის ყმაწვილი თამაშობს.

— ზური... ზური მოდი აქ, შე მამოდის, შორს არ წახვიდე.—ეძახის კაკო ყმაწვილს, რომელიც ჭრელ პეპელას მისდევს წკეპლით.

— ეხლა ხომ ისე ბედნიერი ვართ, ჩემო კაკო, რასაც ვნატრობდით მოვესწარით, შვილიც გვყავს, მაგრამ წარმოვიდგინოთ რომ აღარც ზურიკო და აღარც მერცხალა აღარ გყავს, ხარ მარტო, სხვაფრივ კი ყველაფერი გაქვს, არაფერი არ გაკლია, ასეთი მხიარული და ბედნიერი იქნებოდი თუ არა ეხლა რომ ხარ?—მხიარული ღიმილით ეკითხება კაკოს მერცხალა და ხუჭუჭა თმას თავის ბროლის თითებით უფურჩქნის.

— კარგი თუ გიყვარდე მერცხალა, რატომ მაძლევ ასეთ საშინელ შეკითხვას!..

— რაღა იქნება ჩემი სიცოცხლე თუ შენ და ზურიკო არ მეყოლებით—ამ სიტყვებზე უნდოდა მოხვეოდა მერცხალას, მაგრამ უცებ დიდ ჭრელ გველს მოჰკრა თვალი, რომელსაც თავი ადამიანის თავს მიუგავდა და მის შვილს ზურიკოს, შესაჭმელით მოსდევდა; ბავშვი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საშინელი ყვირილით მშობლებისაკენ გამორბოდა.

— გველი.. მიშველეთ გველი...— წამოიძახა სასოწარკვეთით კაკომ და.. გამოეღვიძა...

სიზმარი გაქრა.

ნამძინარევ თვალებიდან ორი თბილი ცრემლი გადმოუგორდა კაკოს და მერცხალას საფლავზე დარგულ ყვავილს დაეცა...

* * *

კარგათ ვერც შიოს და გულოს საქმე წავიდა.

მათ არ უყვართ ერთმანეთი, ხშირათ მოსდით ჩხუბი და უსიამოვნება.

მეტადრე მას შემდეგ რაც რომ გულომ ეჭვი აიღო შიოსა და ვარდოს სიყვარულზე...

ამას აღარც ხალხი ხდის საიდუმლოდ. მხოლოდ ნესტორი ვერ ამჩნევს, ან არ უნდა იცოდეს, თუ რა ხდება მის გარშემო—ეს არავინ იცის...

ხ. რემონიძე.

წერილი პარიზიდან

ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი ვერსალში.

ევგენი პ. გეგეჭკორი მოხდა პარიზში იმ დროს, როდესაც საფრანგეთი თავის პრეზიდენტს ირჩევდა სრულიად არა ჩვეულებრივ პირობებში 23 ენკენისთვეს.

საზოგადოთ საფრანგეთში პრეზიდენტი ირჩევა 7 წლით და ის ილტურება ძალა უფლებით მხოლოდ ერთი თვის შემდეგ არჩევისა—ასეთია ჩვეულებრივი მდგომარეობა და პირობები რესპუბლიკის თავის არჩევისა. დღეს კი პრეზიდენტის არჩევა მოხდა შვიდი თვის შემდეგ ახალი პრეზიდენტის არჩევისა (დეშანელი არჩეულ იქნა იანვარში, ავათმყოფობის გამო იძულებული შეიქნა გადამდგარიყო ეკენისთვეში) იმ დღესვე მოხდა არჩეულის ინვესტიტურა, ე. ი. არის ისეთი შემთხვევა, რომელსაც მესამე რესპუბლიკის ისტორიაში ძვირად შეხვდები. ასეთი არა ჩვეულებრივი მდგომარეობა ამ არჩევნებს აძლევდა რაღაც განკერძოებულ ხასიათს...

ე. პ. გეგეჭკორი სწორედ არჩევნების წინდღით ჩამოვიდა ლონდონიდან, მის და მიუხედავათ, რომ უკვე გვიან იყო, ბ. რაულ პერემ (პარლამენტის თავმჯდომარე) როგორც კი გაიგო საქართველოს საგარეო მინისტრის სურვილი არჩევნებზე დასწრების, გამოუგზავნა მას ბილეთი. მინისტრი გაემგზავრა ავტომობილით ერთი საათით ადრე. ვერსალი სულ 30—40 წ. სასიარულო მანძილით არის დაშორებული პარიზზე. მარშრუტი მეტის მეტათ თვალ წარმტაცია; ბულონის ტყე, სენ-კლუ და ვერსალი. ბულონის ტყე! რომელ უცხოელს არ გაუვლია იქ? ისიც კი ვისაც ერთი საათის მეტი დრო არ მოეპოვება თავის განკარგულებაში, ისიც კი სთვლის თავს სამღვთო ვალად ბულონის ტყის პროსპექტი გაიაროს და ბულონში, თუნდაც ხუთი წამით მაინც აიძგეროს იქაური მშვენიერებით აავსოს გული.

მივედით სენ-კლუში, რომელიც ბულონის ტყეზე ნაკლებ შთაბეჭდილებას არ იძლევა, როგორც თავის ბუნებრივი მდებარეობით, ისე თავის ისტორიული მნიშვნელობით, გავიარეთ სენ-კლუს პარკი თავიდან ბოლომდე: აგერ ნაპოლეონის კოშკი, რომელიც მოწმეა მისი, ნაპოლეონის ამაღლების და დაცემის, აი, აგერ ის „კაზარმა" რომლის წინ ის თავის ერთგულ ჯარს სასოწარკვეთილებით მოცული უკანასკნელად გამოეთხოვა: აგერ პატარა ტბა მისი გენერლების ძეგლებით შემოვლებული—ვინ იცის რამდენჯერ გენიოსი მხედარი ამ ტბის პირად მწარე ფიქრებით შეპყრობილი კაცობრიობის გარდაქმნის პლანებზე ოცნებობდა!.. მივედით ვერსალში, რომელიც საფრანგეთის ისტორიულ განძს წარმოადგენს. სხვა მხრივ ის საინტერესო არ არის. აქ ცხოვრობდენ საფრანგეთის მეფეები ლუდოვიკ მე-13-დან დაწყებული, რომელმაც პირველმა ააგო სასახლე ვერსალში, რომელიც ლუდოვიკ მე-14 გაადიდა და გაალამაზა, ვერსალის პარკი ხომ ხელთუქმნელ რამეს წარმოადგენს, ეს სასახლე ლუდოვიკ ფილიპემ მუზეუმად გახადა, სადაც მნახველს შეუძლია გაეცნოს საფრანგეთის მთელ ისტორიას. სასახლის უბრალო კუთხეც არ არის დატოვებული, რაზედაც აღნიშნული არ იყოს ესა თუ ის ღირსშესანიშნავი მოვლენა, საფრანგეთის ცხოვრების. ამ სასახლეში არის დატოვებული რამოდენიმე ბინა სხვადასხვა ქვეყნების სუვერენების მისაღებად და ერთი დიდი ზალაც კონგრესისათვის, რომლის კარებიც 7 წელიწადში მხოლოდ ერთხელ იღება პრეზიდენტის ასარჩევად... ამ დღეს ვერსალში მხოლოდ ბილეთებით უშვებენ... როგორც კი შევადექით ქალაქს, გაგვაჩერეს.—ვინ ბრძანდებით, საქართველოს საგარეო მინისტრი—„საქართველოს საგარეო მინისტრი"—ო. გაისმა ხმა—და ერთი კუთხიდან მეორემდის ერთი-მეორედან გადადის ეს სიტყვა—ვინ იცის ბოლოს რა წარმოითქვა, მაგრამ სიტყვა მინისტრი მაინც დარჩა, რადგანაც ყველამ იცის, რომ იმ გზით მხოლოდ უცხოეთის მინისტრები მიდიან. ზალაში შესვლისას სადაც დიპლომატიური კორპუსი დგას—ისევ ისეთივე ამბავი—ვინ ბრძანდებით—საქართველოს მინისტრი—საქართველოს მინისტრი გაისმის დარბაზში. დანიშნულ დროზე არჩევნები დაიწყო. დარბაზი დეპუტატებით სავსეა, შედარებით სიწყნარეა—პარტიების შეხმატკბილებას ადგილი არ აქვს. პარლამენტის უმრავლესობა კონსერვატიულია, ამ კონსერვატიზმის გამომხატველი ნაციონალური ბლოკია, მისი სულის ჩამდგმელი ეს მილიერანია—ერთად ერთი კანდიდატი ახლოდ ის შეიძლება იყვეს. მემარცხენეთა კანდიდატებმა რაულ-პერემ და ლეონ ბურჟუამ უარი განაცხადეს კანდიდატობაზე — ეტყობა, რომ მილიერანი უძლეველია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფუჭია. სოციალისტები ხმას არ იღებენ მათ თავიანთი კანდიდატი ჰყავთ. დილით 4 ს. 45 წ. არჩევნები გათავდა. ლ. ბურჟუა კონგრესის თავმჯდომარე აცხადებს შედეგს: საერთო ტაშის ცემა და ზეიმია ხმის მიმცემი 892. მილიერანი ღებულობს 695 ხმას, 9/10 ხმებისას. სოც. კანდიდატი დელორი 69—106 თეთრი. არჩევნების გათავებისთანავე თავმჯდომარის კაბინეტში მილიერანს უფლებებით მოსავენ, ეს ინვესტიტურაა, კონგრესის ზალიდან გამოდის სრულ უფლებიანი პრეზიდენტი—რომელიც მიემგზავრება ელიზეს სასახლეში.

ყველაფერი გათავდა... ერთ დროს სოციალიზმის ცეცხლური დამცველი დღეს რეაქციას სათავეში მოექცა, ამისთვის იყო რომ არჩევნების გამოცხადების შემდეგ მას სულთათანა უგალობეს სოციალისტებმა და ამინ დააყოლეს. არჩევნების გათავების შემდეგ მინისტრი კმაყოფილი ნახევლით დაბრუნდა პარიზში.

„ე. მ—ლი".

ეკონომიურ თათბირზე მიღებული რეზოლიუცია

მოისმინა რა მოხსენება რესპუბლიკის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, პარტიული თათბირი აღიარებს, რომ მსოფლიო ომმა ჩანთქა ევროპის საწარმოვო საშუალებანი, გაანადგურა წინანდელ თაობათა მიერ დაგროვილი სიმდიდრე და ძირფესვიანად შეარყია ევროპის სახელმწიფოთა ფინანსიური კეთილდღეობა.

რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოს მტაცებლური თვალით უცქერდა, მას, როგორც კოლონიას, ძარცვავდა და ხელს უშლიდა ჩვენში საწარმოვო ძალთა განვითარებას და აქ დამოუკიდებელი ეკონომიური ორგანიზმის განმტკიცებას. სოც. დემოკრატიულმა პარტიამ ჩაიბარა ეკონომიურად დაშლილი ქვეყანა პრიმიტიული სასოფლო მეურნეობით და სუსტი ინდუსტრიით.

მთელი ორ-ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატია ომის ველზე იცავდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართ, ხოლო მუდმივი ომი კიდევ უფრო აუარესებდა ისედაც დანგრეულ ეკონომიურ ცხოვრებას.

თათბირი, ითვალისწინებს რა ქვეყნის მძიმე ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას, სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მთელი შეგნებული დემოკრატია გაათკეცებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ დაბრკოლებათა დაძლევას, რაიცა წინ ეღობება რესპუბლიკის ეკონომიურ განვითარებას და ფინანსიურ მოღონიერებას.

თათბირი ადგენს მიზანშეწონილ ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედვას:

ა) ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება, ბ) მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის აღორძინება, გ) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება, და დ. ექსპორტის გაძლიერება და იმპორტის შემცირება.

ამისათვის აუცილებელია შემდეგი ზომების გატარება:

1. **ბიუჯეტის მოსაწესრიგებლად:**

ა) **ხარჯების ეკონომია:**

მოსამსახურეთა შტატების შემცირება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საქმის წარმოების გამარტივება, ზოგიერთ დაწესებულებათა სრული ლიკვიდაცია და სხვ.

ბ) იძულებითი საშინაო სესხის აღება ფულის ნიშნების წინასწარი აღრიცხვით.

გ) გადასახადთა სისტემის გადასინჯვა და მათი აკრეფის გაძლიერება.

დ) მთავრობის კონტროლი ადგილობრივ თვითმართველობათა და სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის შესათანხმებლათ და გასაერთიანებლათ და მათი ხარჯების შესამცირებლათ.

ზ) თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლების გამიჯვნა.

2. **ფინანსების გასაუმჯობესებლათ:**

ა) ქაღალდის ფულის რაოდენობის განსაზღვრა,

ბ) საკუთარი ფულის სისტემის შექმნა და მისი რეალური უზრუნველყოფა,

გ) რუსეთის ძველ საკრედიტო დაწესებულებათა ლიკვიდაცია,

დ) ბანკების კონტროლი.

ე) სავალიუტო ოპერაციებს მხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებანი უნდა აწარმოებდენ.

ვ) ამ ოპერაციების საწარმოებლად სახელმწიფო ბანკს სავალიუტო ფონდი ეძლევა.

ზ) ანგარიშის გასწორება და საქონლის ყიდვა-გაყიდვა რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ხდება.

3. **წარმოების სფეროში.**

ა) ახალი საწარმოვო დარგების შექმნა; კერძო ინიციატივის ხელის შეწყობა, რამდენათაც ის წარმოების განვითარებას ემსახურება.

ბ) უცხო სამრეწველო კაპიტალის შემოსასვლელათ ზომების მიღება.

გ) სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო სესხის შემოღება.

დ) სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის უზრუნველყოფა მანქანებით და ნედლი მასალით.

ე) პრაქტიკული სასწავლებლებისა და კურსების დაარსება სპეციალისტების მოსამზადებლათ: უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.

ვ) ეკონომიური საბჭოს დაარსება მთლიანი ეკონომიური სისტემის შესაქმნელათ; რესპუბლიკის საწარმოო საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენება.

ზ) სამრეწველო აღწერის მოწყობა.

4. **საგარეო ვაჭრობის სფეროში:**

ა) ფუფუნების საგნების შემოტანის სავსებით აკრძალვა და საიმპორტო საგანთა შორის უპირატესობის საწარმოო საშუალებათათვის მინიჭება.

ბ) სახელმწიფო დაწესებულებანი, კოოპერატივები და ადგილობრივი თვითმართველობანი უცხოეთთან აღებ მიცემობას მთავრობის კონტროლით უნდა აწარმოებდენ.

გ) მიღებულ იქნეს ზომები საკუთარი ტონაჟის შესაძენათ.

5) **სასურსათო სფეროში:**

ა) სახელმწიფო უნდა შეეცადოს თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი სურსათით დაიკმაყოფილოს პურის გასაიაფებლათ მიღებულ იქნეს ზომები ხორბლეულობის უცხოეთიდან შემოსატანად.

ბ) უნდა გაფართოვდეს სამელიორაციო მუშაობა, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ჭაობების ამოშრობას, წყლების გამაგრებას და გზების გაყვანას, მოეწყოს აგრონომიული დახმარება და თავისუფალი მიწების ინტენსიური დამუშავება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უცხოეთიდან სასოფლო სამეურნეო იარაღების შემოტანას. გაფართოვდეს თავისუფალ მიწებზე გადასახლების საქმე.

გ) სურსათის გატან-შემოტანის აკრძალვის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში მხოლოდ მთავრობას ეკუთვნის.

დ) მიღებულ იქნეს განსაკუთრებული ზომები სურსათის რესპუბლიკის საზღვრებიდან უცხოეთში გატანის წინააღმდეგ.

6) **საერთო ზომები:**

ა) ქალაქების გაწმენდა პარაზიტულ ელემენტებისაგან.

ბ) სავალდებულო შრომის შემოღება არა-მშრომელთათვის.

გ) დახურვა გასართობ კლუბების, კაფე-შანტანებისა და ისეთი რესტორანების, რომელთაც კაფეშანტანების ხასიათი აქვს. მათ მაგიერ იაფ-ფასიანი სასადილოების მოწყობა. ხელის შეწყობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის პურით სავაჭროების გაღების საქმეში. ტკბილეულობის გამოცხობის აკრძალვა. რესტორანები, სასადილოები და სამიკიტნოები უნდა იხურებოდეს ღამის 10 საათზე.

დ) ბინის საკითხის მუშათა ინტერესების დამიხედვით მოწესრიგება პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით.

ე) უსასტიკესი სასჯელი სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც მიითვისებენ, გაფლანგავენ და მოიპარავენ საზოგადო ქონებას ან ქრთამს აიღებენ.

თათბირი აღიარებს, რომ ყველა ეს ზომები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს სასურველ ნაყოფს, თუ საქართველოს საწარმოო ძალები და შრომის ნაყოფიერება გაძლიერდება, დამზადებულ საქონელთა რაოდენობა გამრავლდება და ამათ შეიქმნება შესაძლებლობა საქონლის ფასების დაწევის და ბაზრის ნორმალურ პირობებთან დაახლოვების.

შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლათ კრება საჭიროდ სთვლის მუშათა უზრუნველყოფას პირველ საჭიროებათა საგნებით, განსაკუთრებით სანოვაგით, და სადაც ეს ტეხნიკურათ შესაძლებელია, შემოღებულ იქნეს ნარდით მუშაობა და პრემიული სისტემა. რეზოლიუცია მიღებულია ერთხმათ, ერთმა თავი შეიკავა.

თათბირი ადგენს:

ა) პურის დამზადებას მომარაგების სამინისტრო საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებით უნდა აწარმოებდეს.

ბ) მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები პურის ღირსების გასაუმჯობესებლათ.

გ) საჩქაროთ პირველ შესაძლებლობისთანავე გადიდებულ იქნეს პურის ულუფა ნახევარ გირვანქით ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის.

დ) მიღებულ იქნეს ზომები მუშა-მოსამსახურეთა ხორცით, ბოსტნეულობით და სხვა სანოვაგით უზრუნველსაყოფათ.

ე) შესდგეს განსაკუთრებული კომისია მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ბოროტ მოქმედებათა აღმოჩენის ხელშესაწყობათ.

სრულიად საქართ. მასწავლებელთა მეორე კონფერენცია

(გაგრძელება).

მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბურჯანაძე. მან აღნიშნა მასწავლებელთა აუტანელი მდგომარეობა და დაასკვნა, რომ ეს საკითხი ამ ჟამად იმყოფება თავის გართულების უკანასკნელ სტადიაში. საბჭომ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხს და არა ერთხელ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მან დაეკმაყოფილებია მასწავლებელთა სამართლიანი მოთხოვნილებები. მთავრობამ თავის უკანასკნელი პასუხი გვამცნო, რომ მას ამ ჟამად არ შეუძლია არავითარი დახმარების გაწევა ბონებით, არამედ ის დაეხმარება მასწავლებელთ კოოპერატივის დაარსებაში და სურსათ სანოვაგის მაწოდებით. ეს საკითხი ამ ფორმით არის დასმული ამ ჟამად კრების წინაშე და უნდა იქნას განხილული კონფერენციის მიერ. კრებამ იქონია მსჯელობა ამ საკითხის შესახებ და დიდი კამათის შემდეგ მიიღო მოთხოვნილებანი, რომელიც უნდა წარედგინა კრებას განათლების მინისტრისათვის. საღამოს 5 საათზე კრებაზე გამოცხადდა განათლების მინისტრი **ნ. რამიშვილი,** რომელსაც მოკლე სიტყვით შეხვდა კრების თავმჯდომარე. ამის შემდეგ სიტყვას ღებულობს მინისტრი ნ. რამიშვილი და ამბობს შემდეგს: მე სრულიად არ მესაჭიროება არავითარი ინფორმაცია მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ, რადგან ძლიერ კარგად ვიცი ის გაჭირვება, რომელსაც განიცდის არა მარტო მასწავლებლობა, არამედ ყველა სხვა დარგის მოსამსახურენი. გარდა რამდენიმე დაწესებულების მოსამსახურეებისა, როგორიცაა მაგ. ბანკების და სხვა, სადაც მოსამსახურეთა უმაღლესი ჯამაგირები 60.000 მანეთამდე ადის, ყველა ჩვენი დაწესებულების მოსამსახურეთა ჯამაგირები უმნიშვნელოა. მიუხედავად ასეთ მცირე ჯამაგირებისა ყველა ის მუშა - მოსამსახურეები, რომელნიც დღემდე ითხოვდენ მდგომარეობის გაუმჯობესებას ბონების მომატებით დღეს მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ეს მიიყვანს სახელმწიფოს დაღუპვის კარზე და მათ მდგომარეობას კი ოდნავათაც ვერ შეცვლის და დღეს მოითხოვენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სურსათ-სანოვაგის მიწოდებას. ძლიერ სამწუხაროდ მიაჩნია მინისტრს, თუ ეს მდგომარეობა დღემდე ვერ შეუგნია რესპუბლიკის შეგნებულ ელემენტს მასწავლებლობას, თუ მასწავლებლები მოითხოვენ ხელფასის მომატებას ბონებით, ჩვენ ამას ვერ დავაკმაყოფილებთ, ვინაიდან არ შეგვიძლია გამოვყოთ მასწავლებლობა სხვა დარგის მოსამსახურეთაგან და რაიმე პრივილეგიები მივცეთ მას. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარ პრივილეგიების პრინციპიალურად. დახმარება კი შეგვიძლია მოგცეთ სურსათ სანოვაგის სახით. ამისათვის უნდა დაარსდეს მასწავლებელთა კოოპერატივი, რომლის ძირითადი ფონდისათვის გადავდებთ ორ მილიონ მანეთს, ერობებს და თვითმართველობებს კი ვაიძულებთ დააკმაყოფილონ პროვინციელი მასწავლებლები საფონდო მიწებიდან სურსათით. ამას გარდა შესაძლებლად მიაჩნია მინისტრს საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადიდება და აქედან სპეციალურ თანხის დახმარებაც. გარეშე ამისა მასწავლებელმა, რაც უნდა საშუალებებს და ზომებს არ უნდა მიმართონ, მთავრობა ჯერ-ჯერობით მეტს ვერაფერს შეპირდება. მხოლოდ თუ საერთოდ მოსახერხებელი შეიქნა რაიმე დახმარების გაღება მოსამსახურეთათვის ერთდროულ დახმარების სახით, რასაკვირველია, მასწავლებლებიც მიიღებენ. ამის შემდეგ მინისტრი შეეხო სკოლის ავტონომიის საკითხსაც, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი დღის წესრიგში არ იყო დასმული, მან აღნიშნა მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი, სადაც მთავრობამ ვერ დააკმაყოფილა ზოგიერთი პედ. საბჭოს დადგენილება. მოხსენების შემდეგ მინისტრს მისცეს შეკითხვები და შემდეგ გააცნეს მათი მოთხოვნილებანი. მინისტრმა თავის უკანასკნელ სიტყვაში გაიმეორა იგივე, რაც მან თქვა თავის პირველ სიტყვაში და გამოემშვიდობა კრებას. ამის შემდეგ კრებამ განაგრძო მუშაობა და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „წარედგინოს მთავრობას წერილობით მოთხოვნილებები და თუ ორი კვირის განმავლობაში მან არ დააკმაყოფილა მოთხოვნილებების უმთავრესი მუხლები მაინც, იქნას მოწვეული სრულიად საქართველოს მასწ. დელეგატების ყრილობა 20 ნოემბრისათვის, რომელიც იტყვის ამის შესახებ თავის უკანასკნელ სიტყვას".

მოთხოვნილება გამოიხატება შემდეგში:

1) ახალი შტატების შემუშავება ჯამაგირებისათვის. დაბალი სკოლის მასწავლებლებს 15 ათასი, უმაღლეს დაწყებით 18 ათასი და საშუალო 20 ათასი მანეთის ფარგლებში.

2) 20 ათასი მანეთი ერთდროული დახმარება.

3) კოოპერატივისათვის 10 მილიონი სესხი.

4) პროვინციელ მასწავლებლების გათანასწორება ქალაქების მასწავლებლებთან სურსათ სანოვაგის მიწოდებით ან და ფულით.

5) უმაღლეს და საშუალოში გაკვეთილების რიცხვის შესწორება.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ზუგდიდის და ხონის მასწავლებელთა დეპეშები, სადაც ისინი იმუქრებოდენ სეპარატიული გამოსვლებით, თუ კონფერენცია ვერ მიაღწევდა სასურველ შედეგებს. კონფერენციამ დაგმო ასეთი გამოსვლები და მოუწოდა იმათ არ გამოსულიყვნენ სეპარატიულად. ამის შემდეგ მოხდა სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ: ს. იაშვილი, სულაძე და გიორგაძე.

ნოდე.

მცირე განმარტება

„ერთობის" მე 214 №-ში მოთავსებულმა ჩემმა წერილმა გამოიწვია მთავარი შტაბის განმარტება („ერთ." № 214). რომ მთავარი შტაბი გაეცნობოდა იმ მასალებს რომელიც ჩემს განკარგულებაშია, უეჭველია, მისი განმარტებაც სხვა ხასიათის იქნებოდა.

მთავარი შტაბის დასკვნები აშენებულია იმაზე, რომ აფრ. ურატაძე, როგორც ჩარიცხული გვარდიის რეზერვში მობილიზაციის დროს არ გამოცხადდა. რა თქმა უნდა მობილიზაციაში არ გამოცხადება შეუწყნარებელია და ამის შესახებ მთავარი შტაბის შეხედულება სრულიად მართალია და ჩვენ სავსებით ვიზიარებთ და ვეთანხმებით მას. მარა საქმე იმაშია, რომ ფაქტი გამოუცხადებლობისა არაა სწორი.—

აფრ. ურატაძე გამოცხადდა საოლქო შტაბში, რომელმაც ის გაანთავისუფლა ავათმყოფობის გამო. შესაფერი დოკუმენტიც მისცა და პირი ამ დოკუმენტისა გადმოუგზავნა თავის რაიონულ შტაბს. ამ რიგათ რაკი ფაქტი გამოუცხადებლობისა არ ყოფილა, ცხადია, ყველა ის დასკვნები რომელიც ამ ფაქტიდან გამომდინარეობს უნდა მოიხსნას.

ჩემ წერილში კითხვის ამ მხარეს მე არ შევხებივარ არც ერთი სიტყვით. ეს იყო აპრილის დამლევს თუ მაისის დამდეგს. ჩემი წერილი კი ეხებოდა იმას, რაც მოხდა ივლისში და აგვისტოში და მოხდა კი ის, რომ კაცს, რომელსაც ქონდა მინისტრის ნებართვა, ჩამოართვეს ნებართვაც და იარაღიც. რა თქმა უნდა, მინისტრის ნებართვის მოქმედების შეჩერება დროებით შეიძლება, მაგრამ ეს მაშინ, როცა ადგილი აქვს რაიმე ბოროტ-მოქმედებას. ამ შემთხვევაში კი ამგვარ რამესაც არავითარი ადგილი არ ქონია. ამიტომ ლანჩხუთის რაიონული შტაბის მოქმედება უნდა ჩაითვალოს კანონიერების დარღვევათ და აი ეს მიგვაჩნია ჩვენ სრულიად დაუშვებლათ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

სამწუხაროთ, დარღვეული კანონიერება ჯერაც არაა აღდგენილი და სანამ ეს არ მოხდება ჩვენი წერილის შინაარსიც ძალაში რჩება.

განი.

სახალხო გვარდიაში

ცხინვალი. 17 ოქტომბერს მოხდა ცხინვალის რაიონის სახალხო გვარდიის ყრილობა. დაესწრო 106 გვარდიელი. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა

გორი'ს საოლქო შტაბის წევრი ამხ. ალ. ზანოზოვი, მდივნათ ვ. ელიოზიშვილი. თანამედროვე მომენტის და საქართველო'ს ეკონომიურ ვითარების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. გაჩეჩილაძე. არჩეულ იქნენ საოლქო კონფერენციაზე დასასწრებლად შემდეგი დელეგატები: კიკა მძინარაშვილი, ადამ ყაზახაშვილი, ნიკა აბულაძე, გოლა გოგინაშვილი, არ. ნაჭყიდაშვილი, აბულაძე, გიგა ლომაძე, ვასო ესიაშვილი, სოსო ფირხნარაშვილი, ვ. ოქროპირიძე და ვ. ელიოზიშვილი. სრულიად საქართველოს გვარდიის მე-2 ყრილობაზე დასასწრებლად კი ვ. ელიოზიშვილი. ყრილობა მისალმებელ დეპეშას უგზავნის მუშათა კლასის წინამძღოლს ამხ. ქ. კაუცკის. **ზ.**

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა თფილისის სადარაჯო ათასეულში.

(ზ. ჯიხველისპირელის საპასუხოთ).

„ერთობის“ ამ წლის 23 ოქტომბრის № 241-ში მოთავსებულია წერილი ამხ. ჯიხველისპირელ-სა თფილისის სადარაჯო ათასეულში კულტურული მუშაობის შესახებ. წერილი, სამწუხაროდ, აიგულია სრულ გაუკუღრობაზე და ფაქტებს არა სწორად მოუყვანს.

1) ჯიხველისპირელი სწერს: „ერთობა“ კვირაში ერთხელ თუ გამოჩნდება გუნდებშიო: ეს სიმართლეს არ შეეფერება: „ერთობა“-ც, „სახალხო“-ც და სხვა გაზეთებიც ათასეულს თანასწორად მოსდიოდა და ასევე რიგდებოდა. ყოველ შემთხვევაში არც ერთი სერიოზული განცხადება რაიმე (არა მარტო „ერთობის“) გაზეთის მიუღებლობის შესახებ არც ჩემთვის და არც ინსტრუქტორ-ოფიცერ ვ. გორგაძისათვის არავის განუცხადებია. პირიქით როგორც მე, ისე ოფიცერი გორგაძე და კულტურული წრის ყოველი წევრი სასტიკ ყურადღებას აქცევდა და აქცევს, რათა გაზეთები გუნდებში იკითხებოდეს. გუნდის მასწავლებლები ყველა გაზეთებს უკითხავენ და უხსნიან ყველ დღე წ. კ. არ მცოდნე და ნაკლებათ მცოდნე ჯარისკაცებს, და შემდეგ კი სტოვებენ გაზეთებს გუნდებშივე—პარტიული სიმპატია ანტიპატიის მიუხედავათ. გარდა ამისა, თითო ცალი ამავე გაზეთებისა („ერთობა“, „სახ. საქმე“, „საქართველო“ და „მხედარი“) მუდამ არის ათასეულის სამკითხველოში, რომელიც ყაზარმაშივე, მისი შენობის შუა ოთახშია მოთავსებული და ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ყოველ ჯარის კაცს შეუძლია წაიკითხოს გაზეთი, თუ ის რამე მიზეზით გუნდში ვერ წაიკითხა.

2) კულტურული მუშაობა სად. ათასეულში მარტო ჩემი ლექციებით არ განისაზღვრება, არამედ: ა) თავიდანვე (მაისიდან) იმართება წარმოდგენები, რომელსაც აწყობდა სცენის მოყვარე ოფიცერთა და ჯარის კაცთა წრე, ოფიცერ ვ. გორგაძისა და ჯარის კაც ღ. გაწერელიას უახლოესი ხელმძღვანელობით. ამ გვარად წრემ მოაწყო სულ 12 წარმოდგენა და ორი ლიტერატურული გასამართლება. ამ ბოლო ხანებში უფულობისა და სხვა, წრისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, წარმოდგენების გამართვა დროებით შეჩერებულია, მაგრამ მალე განახლდება. ბ) ა/წ. ივლისიდან ათასეულში გაიხსნა წერა-კითხვის სკოლა (ჯერ 3, მერე მიემატა მე 4-ეც) სადაც წერა-კითხვის არ მცოდნე ჯარისკაცებს - მასწავლებელი—ჯარისკაცებივე პირველად ჩემი და შემდეგ ოფიცერ ავქს. გრიგოლავას უახლოესი ხელმძღვანელობით ასწავლიან წერა-კითხვასა და ანგარიშს. ამ სკოლაში აქამდის წერა კითხვა შეისწავლა 70 ჯარისკაცმა და ამჟამათ სწავლობს კიდევ 87 კაცი. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ სკოლების საქმე გაუმჯობესდა სწორედ დაულალავ მუშაკის ოფიცერ გრიგოლავას (ყოფილი სახალხო მასწავლებლის) დანიშვნის შემდეგ, ე. ი. ამ წლის აგვისტოს პირველ რიცხვიდან. გ. სწორედ იმ დღეს, როცა ზემოხსენებული წერილი დაიბეჭდა „ერთობა-ში“, ე. ი. 23 ოქტომბერს, სად. ათასეულის კულტურულმა სექციამ გახსნა კიდევ სკოლა „მოწინავე ჯარისკაცთათვის“, რომელშიაც ჩაეწერა 80-მდე მოწინავე ჯარისკაცი (ჩაწერა გრძელდება). სკოლის მიზანია სათანადო მომზადებულ (1—4 კლასიან ჯარისკაცებს) უფრო დაწვრილებით შეასწავლოს მათთვის ცხოვრებაში საჭირო საგნები. სკოლაში ასწავლიან კვირაში ორჯერ 2—2 საათ. განმავლობაში: 1) ვ. გორგაძე—ქართული მწერლობა, საქართველოს მოქალაქის უფლება-მოვალეობანი და სასამართლოს წყობილება. 2) ავქს. გრიგოლავა—ამხსნელობითი კითხვა და თხზულებებისა, თხოვნებისა და კორესპონდენციების შედგენა. 3) ბიქტ. კალანდარიშვილი—საქართველოს სახელმწიფო წყობილება, სამაზრო და სათემო ერობები, კოოპერაცია და მათში საქმის და ანგარიშის წარმოება. აგრეთვე ეკონომიური საკითხები.

3) ლექციებს ჩემს გარდა კითხულობდა და კითხულობს ოფიცერი ვ. გორგაძე (ქართული ლიტერატურა, ჯარისკ. უფლება-მოვალეობანი, მისი დანიშნულება).

4) თავის მუშაობაში სექცია პარტიულ მოსაზრებებით არ ხელმძღვანელობს და არასოდეს არ აღძრულა ისეთი საკითხი, რომელშიაც პარტიულ სხვაობას ეჩინოს თავი. მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ყველა ზემოხსენებული პირი და თანამშრომელი ჯარისკაცები მუშაობენ თავის დანიშნულების და დიდი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით და თანხმობით და ყოველ პარტიულ მოსაზრებათა გარეშე.

ზემოხსენებულის გამო ამხ. ჯიხველის პირველი წერილი შევნიშნავთ თუ შეუგნებლად ფაქტების არა სწორად მოყვანით ხელს უწყობს სექციის მუშათა შორის სოლიდარობის დარღვევას, რაიც უდრის სადარაჯო ათასეულში კულტურული მუშაობის ძირის გამოთხრას და დაშლას. ამიტომაც პირადათ მე, ყველა ამხანაგ თანამშრომელთა სახელით სასტიკად ვკიცხავ ჯიხველისპირელის წერილს.

თფილისის სადარაჯო ათასეულის ინსტრუქტორ-მასწავლებელი **ბიქტორ კალანდარიშვილი.**

1920 წლის 23 ოქტომბ.
ქ. თბილისი.

P. S. ზემოხსენებულის სისწორე'ს, მე მწამს სავსებით დაადასტურებს დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისია, რომელიც ამჟამად ათვალიერებს ათასეულის მუშაობას და რომლის დასკვნაც აუცილებლად დაიბეჭდება ჯიხველისპირელის წერილის გასაბათილებლად.

ბიკ. კალანდარიშვილი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 21 ოქტომბერს შესდგა საქართველოს ს. დ. მუშათა პარტიის მეორე რაიონის კოლექტივი'ს წევრთა მორიგი სხდომა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. ამხ. ს. თევზაძის მოხსენება ცენტრიდან ეკონომიურ თათბირის მიერ არჩეულ კომისიის მუშაობის, ბინის საკითხის და საერობო—და სამოქალაქო არჩევნების შესახებ კრებამ მიიღო ცნობათ. კოლექტივმა მოისმინა აგრეთვე თფილისის კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება რაიონებში ამხ. კ. გვარჯალაძის ლექციების მოწყობისა, და პარტიულ სკოლის დაარსების შესახებ. მოისმინეს იქნა აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ გვარდიის კულტურულ-განმანათლებელ სექციამ უკვე მოუწყვა სკოლები, სადაც სისტემატიურათ დაწყებულია ლექციების კითხვა და საჭიროა რაიონებმაც აწარმოონ მუშაობა გვარდიის კულტურულ-განმანათლებელ სექციასთანო. მოხსენება მიღებულ იქნა მხედველობაში და მიენდო პრეზიდიუმს იქონიოს მჭიდრო კავშირი მეორე რაიონში—არსებულ გვარდიის შტაბებთან სკოლების და სამკითხველო წრეების რიგიანათ მოსაწყობათ. საფინანსო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 26 ოქტომბერს ხსენებული კომისია კოლექტივის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მართავს წარმოდგენას და სასურველ ა ყველა ამხანაგების დასწრება. მოხსენება მიღებულ იქნა მხედველობაში.

ვაზნების საკეთებელ ქარხნის წარმომადგენელი აცნობს კრებას, რომ ხსენებულ ქარხანაში ამ უკანასკნელ ხანებში არ არის მუშაობა ნაყოფიერი და რესპუბლიკისათვის გამოსადეგი. კრება ადგენს: ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, დაუყონებლივ მიაქციოს სათანადო ყურადღება ხსენებულ ქარხანაში მუშაობის წარმოებას.

თედ. ხუხუნაიშვილი.

მუშათა შორის

ბათომი. ხუთშაბათს, 14 ოქტ. შესდგა ბათომის პროფესიონალური კავშირთა საბჭოს კრება ამხ. აიოლოს თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში იყო: 1) რეგლამენტის დამტკიცება 2) კავშირთა საბჭოს დღის მოწყობა და ერთი დღის ნამუშევრის გადადება საბჭოს სასარგებლოთ. 3) გაზეთის გამოცემა 4) ინგლისელების მიერ შეპყრობილ მუშათა ოჯახების განცხადება და ნოქართა კავშირის მოქმედება, 5) საქართველოს მუშათა დელეგაციის საბჭოთა რუსეთში არ შეშვება. 6) უმუშევართა კითხვა. და კიდევ ბევრი სხვა კითხვები. კრებას დაესწრო 45 კაცი და ბევრი მაყურებელი. ამხ. აიოლლო მუხლობრივ კითხულობს რეგლამენტს, რომელიც მცირედი შესწორებით იქმნა მიღებული კრების მიერ.

მეორე კითხვა იწვევს კამათს. პრინციპიალურათ ყველა თანახმაა, მარა პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარება ვერ მოხდებაო ამბობდნენ; რადგანაც ბათომის მუშები ისედაც კრიზისს განიცდიან და მათთვის ძნელი იქნება კიდევ დაბეგვრაო.

მეორე მხარე ამტკიცებდა, რომ თუ კავშირთა საბჭოს არსებობა და მით ბათომის მუშათა კლასისთვის მისი ხელმძღვანელობა საჭიროა—მუშათა კლასმა არ უნდა დაზოგოს თავის ორგანიზაციის გასამაგრებლათ ის მცირედი წვლილი, რომელიც მას მოუწევს გადასახდელათ. კამათის შემდეგ იქმნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ბათუმის კავშირთა საბჭო განიცდის მატერიალურ კრიზისს, მძიმე პირობებში მუშაობა უხდება, ამიტომ კავშირთა საბჭო ადგენს:

ამ თვის ბოლომდე, ესე იგი იმ თვის პირველამდე, შეაგროვოს კავშირთა წევრების შორის ერთი დღის ხელფასი და მიენდოს სეკრეტარიატს კავშირთა საბჭოს დღის მოწყობა ამ მოკლე ხანში.

მესამე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. აიოლლო, რომელიც აღნიშნავს, რომ ყოვლათ შეუძლებელია 27 კავშირს არა ჰქონდეთ თავისი საკუთარი ორგანო, რომელიც გამოხატავდეს უმრავლესობის ინტერესებს. ბათომში გამოდის რამდენიმე ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთი, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პროფ. მოძრაობას და ნაკლებ ადგილს უთმობენ მას.

ამხ. აიოლლოს შემოაქვს წინადადება, რომ რადგან კავშირთა კავშირისათვის ძნელია ახალი გაზეთის გამოცემა, ამიტომ საბჭომ „ბატუმსკაია ჟიზნი“ სცნოს თავის ორგანოთ. პრინციპიალურათ ეს წინადადება მიღებულ იქნა, მხოლოდ კამათს იწვევს სარედაქციო კოლეგიის საკითხი. აქ ბალშევიკებმა წინასწარ მოითხოვეს, რომ სარედაქციო კოლეგიაში დაშვებული იქმნას მათი წარმომადგენელი, ამხ. აიოლლო იმ აზრს იცავს, რომ საჭიროა დაინიშნოს პასუხისმგებელი ერთი რედაქტორი და წინაამდეგია სარედაქციო კოლეგიის შექმნისა.

მიღებულ იქმნა ამხ აიოლოს წინადადება კრებამ და გაიზიარა მისი აზრი რედაქტორის შესახებ. მეორე კითხვის გარჩევის დროს კამათი პარტიულ ხასიათს ღებულობს.

მომხსენებელი ეხება დატუსაღებულების ვინაობას, მათ პარტიულ მსოფლმხედველობას, და მათი დატუსაღების მიზეზს. ის ამტკიცებს, რომ მათი დატუსაღება სულაც არ მოხდარა ისე, როგორც განცხადების ავტორები ამტკიცებენ, თითქოს მათ დატუსაღებას რაიმე კავშირი ქონდეს პროფესიონალურ კავშირებში მოღვაწეობასთან.

ისინი იქმნენ დატუსაღებულნი, როგორც პატიული მოღვაწენი და კომუნისტები. მომხსენებელი ამტკიცებს, რომ მათ შეპყრობის მიზეზი თვით კომუნისტები არიან. როდესაც 27 აპრილს ბათომში შემოვიდნენ კომუნისტები, მათ იქ დაატუსაღეს 72 კაცი ინგლისელები და ინგლისელებმა ბათომში დაატუსაღეს მის სანაცვლოთ 27 კაცი მაისის 8-ში. ამისთვის ამ საქმეში ვერ ჩაერევა ბათომის კავშირთა საბჭო, ვერც იშუამდგომლებს მათ განთავისუფლებაზე და ვერც მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს.

კომუნისტებიდან გამოდიან და იცავენ იმ აზრს, რომ ისინი იქმნენ დატუსაღებულნი, როგორც პროფესიონალური მოძრაობის მოღვაწენი. ერთი მათგანი ამტკიცებდა რომ ისინი იმიტომ დაატუსაღეს, რომ ინგლისელებს ევაკუაციის დროს მიჰქონდათ თან ბათომის სიმდიდრე, სურსათი, საქონელი და ამიტომ ეს ამხანაგები წინ ეღუდებოდნენ მათ ზრახვებს და დატუსაღებულნი იქნენო.

ბათონ წულაძე ვრცლათ ეხება მათ მოღვაწეობას და დასძენს, რომ უკეთესი იქნებოდა მიემართათ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლისათვის, ეს არ დაზოგავს ფულს თავიანთი დაპატიმრებულ ამხანაგების დასახმარებლათო.

კრება ღებულობს მწვავე ხასიათს. შემოდის წინადადება შეწყდეს კამათი. ამ კითხვასთან იყო დაკავშირებული ნოქართა კავშირის მოქმედება, რომლებმაც ზურგი აუხვიეს მუშათა სეკრეტარიატს, და მის დაუკითხავათ მოუწოდეს ყველა კავშირებს რომ მათ გამოეღოთ ერთი დღის ნამუშევარი დატუსაღებული კომუნისტების სასარგებლოთ.

სეკრეტარიატი აცხადებს, რომ ასეთი სეპარატიული მოქმედება და გამოსვლები სახელს და ნდობას უკარგავს სეკრეტარიატს და ბოროტ-განზრახვათ სთვლის ნოქართა კავშირის ასეთ მოქმედებას, ვინაიდან ასეთი გამოსვლა არღვევს პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობას და ძალას უკარგავს მას. ამიტომ კავშირთა კავშირი ადგენს: ნოქართა კავშირის მოქმედება ჩაითვალოს დანაშაულათ და გამოეცხადოს მას საყვედური ასეთი მოქმედებისთვის. კრების უმრავლესობა ღებულობს ამ წინადადებას. მე 5 საკითხის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რუსეთის სოციალისტურმა მთავრობამ არ მიიღო ჩვენი მუშათა დელეგაცია და არ მისცა საშუალება, რომ ამ ორ პროლეტარიატთა შორის გაბმულიყო საერთო სოლიდარული და ამხანაგური კავშირი და მით კიდევ გაღრმავა დამოკიდებულება ამ ორი ქვეყნის პროლეტარიატის შორის. მიზეზი არ დაშვებისა იყო ის, რომ კომუნისტების მთავრობას შეეშინდა სიმართლის თქმისა და თვალების ახელისა რუსეთის მუშებისათვის და იმ აზრის გაფანტვისა, რომ თითქოს საქართველო ბურჟუაზიული სახელმწიფოა და კომუნისტებისა ნამდვილი სოციალისტური; შეეშინდათ კიდევ იმისა, რომ ჩვენი დელეგაცია აუხსნიდა რუსეთის მუშებს მათს გზა-აბნეულობას და უჩვენებდა ნამდვილ გზას სოციალიზმისაკენ. ყველა ეს კარგათ გაითვალისწინეს კომუნისტების ლიდერებმა მოსკოვში და ამიტომ არ შეუშვეს რუსეთში ჩვენი დელეგატები.

შემოაქვთ 3 რეზოლიუცია: 1) თფილისის კავშირთა საბჭოს მიერ მიღებული ამ კითხვის შესახებ, 2) კომუნისტებისა და 3) რ. ს. დ. მ. პარტიის. დიდი ხმის უმრავლესობით გადის პირველი რეზოლიუცია. დროის სივიწროვის გამო კრება გადაიდო ორშაბათამდის. კრება იხურება 12 საათზე.

ედიპი.

პროვინცია

დუში. ამა წლის 3 სექტემბერს, დუშის კოპერატივის გამგეობამ, წერილობით განუცხადა ბათონისე ჩიქვინიძემ, რომ შენობა რომელშიაც კოპერატივი მოთავსებული, იყიდა მან და მოითხოვადა უკანასკნელის დაცლას, რაზედაც გამგეობამ უარი უთხრა საშუალების უქონლობის გამო. ჩიქვინიძემ დაჩქმებით სთქვა, რომ მომრიგებელ მოსამართლის მივმართავ, და კოპერატივის შენობას დავაცლევინებო. ამის შემდეგ არ გაუვლია ორ დღეს, რომ გამგეობას ჩაბარეს უწყებები, სადაც იყო აღნიშნული, რომ შენობის შესახებ საქმე ირჩევა 9 სექტემბერს. აღნიშნულ რიცხვში მომრიგებელ მოსამართლემ გამოიტანა დაუსწრებელი განჩინება კოპერატივის შენობის იძულებით დაცლის შესახებ და დაუშვა აღსრულებითი ფურცლის წინასწარ სისრულეში მოყვანა. ოთხი დღის შემდეგ მსაჯული'ს ბოქაული მივიდა კოპერატივში და მოითხოვა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ეცნეს დაცლილი შენობა. გამგეობამ შეიტანა „ქაღალდი“, საქმის ხელ ახლა გარჩევის შესახებ და სთხოვა მსაჯულს შეეჩერებია ბოქაული. მსაჯულმა საქმე განაახლა, მხოლოდ ბოქაულის შეჩერებაზე უარი განაცხადა, ვითომც და უფლების უქონლობის გამო. საქმე დაინიშნა 23 სექტემბრისთვის, გადიდვა იმავე თვის 29 და შემდეგ 12 ოქტომბრისთვის. გადადების მიზეზი იყო, მოკლე ვადებში საქმის დანიშვნა, რის გამოც მოწმეებს ვერ ასწრებდენ უწყებების ჩაბარებას. 6 ოქტომბერს მოსამართლის ბოქაულმა არც კი აცნობა კოოპერატივის გამგეობას, ისე გადმოყარა საზოგადოების ქონება, გადიტანა გაჩეჩილაძის სამკედლოში და სახლი იმ ღამესვე დაუბრუნა ჩიქვინიძეს. ამნაირათ საქმე გაურჩეველი იყო და სახლი კი ჩიქვინიძეს გაატანეს მსაჯულმა და მისმა ბოქაულმა.

ცალმხრივობა და უსამართლობა ბევრი მინახავს და გამიგონია, მაგრამ ასეთი აშკარა არ მინახავს. მე ღრმათ მწამს, რომ ზალდადის თემი იმდენათ არ არის ჩამოქვეითებული, რომ შესაფერი პასუხი არ მოსთხოვოს დამნაშავეს.

დიმელი.

სად. ჯუმათი. (ნიგვზიანის თემი) აქ ამ უკანასკნელ ხანებში, საქონლის გაქურდვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რაც უნდა მიეაწეროთ მაზრის დარაჯის დაუდევრობას. ამ დღეებში გაქურდეს აქ მოვაჭრე ი. ცანიაშვილის სავაჭრო სახლი. სასურველია, როგორც ადმინისტრაციამ, ისე ხალხმა მეტი სიფხიზლე და ენერგია გამოიჩინონ ავაზაკების აღმოჩენის საქმეში, რათა ერთხელ და სამუდამოთ აღკვეთონ ეს ხალხის მტრები, თავ-აშვებული ნაძირალები.

არა მგონია რომელიმე ალაგას ისე გაფუჭებული და დანგრეული იყოს შარა გზები და ისე უყურადღებოთ მიტოვებული, როგორც ეს ჩვენ თემში არის. ყველა ახლო მახლო სოფლები კი დაკავშირებული არიან, როგორც სადგურთან, ისე აქ არსებულ საქმიანო პუნქტთან. საერობო თემის მესვეურებმა ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და მოაგვარონ ის.

ადგილობრივ ვაჭრების თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს. ზოგ მათგანს სხვადასხვა საქონლით გავსებული საქვარო, სამი ოთხი თვეა დაკეტილი აქვს. ამით სურს იაფად ნაყიდი საქონელი, გაორკეცებულ ფასებში მიჰყიდოს, ისედაც გაძვალტყავებულ მშრომელ ხალხს.

„ღრიჯელი“.

რაჭა. წელს აქ მოსავალი კარგი იყო. მიუხედავათ ამისა წლის სარჩო მაინც არავის მოუვა, რადგანაც მცირე ადგილის მქონე არიან. მუდმივი წვიმების გამო ჰირნახული ვერ მოიმარაგეს და კალოებიც ბევრს გაულეწავი დარჩათ. კუდაბზიკო ოსები არა სცხრებიან და რაჭველ კაცს, სადაც მოასწრებენ მოსაკლავათ არა ზოგავენ. მათ წინააღმდეგ მედგრათ იბრძვის ონის მილიცია.

ოთხმეტს ამ თვეს შემერის მთაზე გაძარცვეს მგზავრები, გაძარცვის დროს მათ მოუსწრო მილიციამ. სასტიკი ბრძოლა შეიქნა. მოკლულ იქნა ერთი მძარცველთაგანი, რომლის ვინაობა ჯერ გამოურკვეველია.

რაჭაში ამ ჟამათ დიდი სიძვირეა. ონის ბაზარზე სანოვაგეს შემდეგი ფასებია: ფუთი ხორბალი 2000 მ., ფუთი სიმინდი 1600 მ., კაკალი გირვანქა 100 მ., სოფლიდან შემოტანილი პური გირვანქა 60 მ. კვერცხი ერთი ცალი 10 მ. ასეთივე ფასებია სოფლებშიაც.

აქ მცხოვრებლებს გამოუცხადეს გადასახლების შესახებ, მაგრამ რაჭველები ზანტათ ქვიდებიან გადასახლებას.

ვახილ კირვალიძე.

წერილი რედ. მიმართ

გაზეთ „ერთობის“ 223 ნომერში მგზავრი არსენ მიქაბერიძე სწერს, ვითომდა მე ვიღაც ორი მგზავრი ქალების ავეჯი გადმომეყარის მატარებლიდან 22 სექტემბერს და დამემტვრიოს მათთვის მურაბიანი ბანკები და სამოვარი. საქმე იყო შემდეგში: „მატარებელს ჰქონდა მიცემული მხოლოდ პირველი ზარი, როდესაც ჩემთან მოვიდა № 19 კონდუქტორი და გამომიცხადა: „ვითომდა ჩე ის ნებართვით ვიღაც ოფიცრებს მე-II კლასის ვაგონის კუპეში შეეტანოთ სამი სავსე მეშოკი; მე მაშინათვე წავიყვანე მორიგე მილიციონერი და ვსთხოვე ოფიცრებს მეშოკები გადმოელოთ და მიეცათ საბარგო ვაგონში, მაგრამ მათ ამაზე უარის თქმით მიპასუხეს. საქმე გაწვევადა, გამოუძახე მთელი მატარებლის მცველ დარაჯებს და, როგორც იქნა, ძალით გადმოვათრევინეთ მუშებს მეშოკები ძირს. ამის შემდეგ არ გაუვლია სამი წუთი, რომ შევბრუნდი კანტორისაკენ, რათა მიმეცა მატარებლისათვის მე-2 ზარი. ამ დროს შემაჩერა ერთმა ხაზურის ბრიგადის უფროსმა კონდუქტორმა (გიორგაძემ) და მითხრა. „წინა ვაგონი კი გაძლოვჩერთვ, მაგრამ ეხლა უკანა ვაგონს უდებენო“. მე მილიციონერ ფრანგიშვილის თანხლებით ავედი იმ ვაგონში და ვნახე დასაჯდომ სკამზედ ხილით სავსე 4 ფ. მეშოკი, აქვე იდგა ქალი, რომელმაც მიამბო, რომ მან მეშოკის მიცემა ვერ მოასწრო „ბაგაჟ“-ში, ვსთხოვეთ აღნიშნულ მგზავრ ქალსაც მეშოკი გადმოელო ძირს, მაგრამ ვინაიდან უარი განაცხადა, მეშოკი გადმოილო ძირს ჩემის წინადადებით მუშამ. აღნიშნულ მუშას ძირს გადმოყვა პატრონი ქალი, რომელსაც ხელში ეჭირა დანარჩენი წვრიმალი ბარგიც. მატარებლის წასვლის შემდეგ ამ ქალმა მომმართა შემდეგი სიტყვებით: „ვინაიდან თქვენ მე მატარებელს ჩამომაშორეთ, ბილეთი ეს ჩემი ბარგი და მიეცით ბაგაჟათ, თორემ მე ამის თავი არა მაქვს და წვრილმანით ეს ბარგი კიდევ პირისა იყოსო (არ მახსოვს კარგათ რომელი დაასახელა) დამფუძნებელი კრების წევრისა არისო და ეს ჩემი მატარებლიდან ჩამოშორება თქვენზედ ცუდათ ამოვტყდებაო“. ქალს საყვედური მერიდება ბანკისა და სამოვრის გატეხის შესახებ. არავისათვის არ უთქვამს, ვინაიდან ამგვარი არა ყოფილა რა. ცხადია, რომ არსენ მიქაბერიძე'ს თავის მოგზაურობის დროს დაუწერია სრულიად სიმართლეს მოკლებული წერილი. თუ მე მგზავრებს არ მივეცი ნება და დაუშვალი სახალხო მატარებელში და ისინც II კლასის ვაგონის კუპეში მ. ხილით და მაცლით სავსე მეშოკების შეტანა ეს მგონი სასაყვედურო არ უნდა იყოს

სადგურ ბოჯორმის უფროსის თანაშემწე **ვ. ცქიტიშვილი.**

ამხ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოვიწვიოთ სამედიატორო სასამართლოში გ. ჯიხველისპირელი, რომელიც „ერთობის“ № 241-ში ბრალს სდებს ჩვენს საქმიანობას თფილისის სადარაჯო ათასეულში. გ. ჯიხველისპირელი არწმუნებს, ვითომც ჩვენში არაფერი კეთდება და, თუ კეთდება, ცალმხრივად; საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევათ წერილის ავტორს წინადადებას ვაძლევთ სამედიატორო სასამართლოში გამოცხადეს.

სადარაჯო ათასეულის კულტურულ მუშაობის ხელმძღვანელნი: **გ. გორგაძე, ა. გრიგოლავა ბ. კალანდარიშვილი.**

მოქალაქე რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სუხის სცენის მოყვარეთა წრეს, რომელმაც ა. წ. 20 და 21 სექტემბერს სრულიად უფასოთ დაგვიდგა წარმოდგენები, სოფ. ლესაში, ადგილობრივ ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სახალხო სახლში. წმინდა შემოსავალი დარჩა 70.000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს ამავე სახალხო სახლის დასამშენებლო ფონდს.

წარმოდგენის მომწყობი კომისია.

ცნობები

ჯარისკაცი პონტელე (პაპინო) მაქსიმეს ძე ვადაჭკორია, მსახურებდა რუსეთში 1915 წლიდან - მე-3 გ. რკინის გზის ბათალიონის მე-3-მე ასეულის 1-ლ ოცეულში. უკანასკნელად მივიღე მისგან წერილი 1-ლ მაისს 1919 წელში ხარკოვის საავათმყოფოდან. მას შემდეგ, მის შესახებ არავითარი ცნობა არ მიგვიღია თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, მაცნობოს ეთხოვ შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი (ავჭალა) სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადის, მე-7 დე ბატარეის მედიცინის ფერშალ იორდანე მაქსიმეს ძე ვადაჭკორია.

რედაქტორი **დავით ნათაძე.**

განცხადებანი

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავადმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 4—21. მებუთლევის ქ. № 38.
(26 ნოემბ.)

ქალი ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 33. 21 ნოე.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
(21 ნოემ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფ[illegible] საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი
ნ. პ. ფალ[illegible]
სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ინსტიტუტის ასისტენტი (ვაქცინოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია, ხოლერის, ტიფის, ქამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

ექიმი
სოლომონ ისაკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებ[illegible] ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
გენრიხ ისაკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს. საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს ბავშვით, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

ქ. გ. ბართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სერამის ქ. № 9, ვაჩნაძის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7—ნოემ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ქალი ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. [illegible] ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოემ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნეფროსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-მებუთოვის ქ. № 5. სახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (ს საღ. 4 ნახ.—6 ნახ. საათამდე. 5—ნოე.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, იღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობის დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შეშ. „606“ და „914“) ბუშტის და საშარდის ავად. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 ნოემ.)

ექიმი
პ. ცუემელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს: ნაშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16 ნოემ.)

სახელმწიფო სტამბა, [illegible] №4.